2010 წელი, 16-22 დეკემბერი
ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№39 (513) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge



## „ყოველი ადამიანი, რაგინდ პატარა იყოს, ცხოვრების ცენტრია და ამდენად ხიდია უკვდავებისაკენ, სადაც ადამიანთა შეხვედრას საზღვარი არ უქვს“

შალვა ნუცუბიძე
1888-1969

გვერდი 4-5

## მკითხველთა საყურადღებოდ!

1 დეკემბრიდან
„ახალი განათლების“
შეძენა შესაძლებელია
„უაიდ დისტრიბუშენის“ პრესის
გავრცელების
ჯიხურებში, თბილისსა და
საქართველოს რეგიონებში.

„ახალი განათლების“
ხელმოწერის მსურველებმა
2011 წლის ხელმოწერის თანხა
ერთი წლით - 40 ლარი
უნდა გადმორიცხონ
ჩვენს რეკვიზიტებზე:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ს/კ 202 058 735; ბ/კ 220 101 502; ა/ა 123 631 000

## სიახლე!

გაზეთი „ახალი განათლება“ და
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
გთავაზობთ
„უაიდ დისტრიბუშენის“
პრესის გავრცელების ჯიხურებში
გაზეთ „ახალ განათლებასთან“ ერთად
დათო ტურაშვილის
ახალ რომანს
„ამერიკული ზღაპრები“
ექსკლუზიურ ფასად

„ამერიკული ზღაპრები“ დათო ტურაშვილის მეთორმეტე წიგნია, რომელიც იმ შორეული ქვეყნის შესახებ მოგვითხრობს, სადაც მან ასი დღე გაატარა საერთაშორისო ლიტერატურული პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ერთი შეხედვით დოკუმენტურ მასალაზეა აგებული, მასში ძნელი გასარჩევია, სად მთავრდება რეალობა და იწყება გამონაგონი, ამიტომ „ამერიკული ზღაპრები“ ერთდროულად მცირე რომანიცაა და ზღაპარივით მოყოლილი ისტორიაც, რადგან, ავტორის თქმით, ამერიკაში ზღაპარსა და რეალობას შორის ზღვარი თითქმის არ არსებობს.

საერთაშორისო ფესტივალის შედეგები
გვერდი 2

აქტუალური თემა
საბუნებისმეტყველო საგნებში საატესტატო საგამოცდო პროგრამა მნიშვნელოვნად გამარტივებულია
გვერდი 3

ПАМЯТЬ
ЧЕЛОВЕК ВЫСОКОГО КЛАССА
გვერდი 6

საბჭოთა განათლების სისტემა აფხაზეთში
გვერდი 7

მეთოდიკა
ბიოლოგიის გაკვეთილი
გვერდი 8

C M Y K

# საერთაშორისო ფესტივალის შედეგები

ასოციაცია „მეოხის“ ორგანიზებით და საქართველოს კათოლკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ბათუმში დაფუძნდა მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“. იგი ყოველწლიურად ოქტომბრის თვეში, ტარდება. ფესტივალის ორგანიზატორებმა ფესტივალის ჩატარების ადგილად აჭარა სიმბოლურად შეარჩიეს, რადგანაც ანდრია პირველწოდებულმა მართლმადიდებლობა აჭარიდან იქადაგა. წელს ფესტივალს საიუბილეო თარილი ჰქონდა – ხუთი წელი შეუსრულდა. V საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენილი იყო შვიდი ქვეყნის 38 ფილმი. საორგანიზაციო კომიტეტში შემოსული იყო 100-ზე მეტი ფილმი. ჩვენი ერის სულიერმა მამამ, ფესტივალ „წმიდა ანდრიას ჯვარს” „უმნიშვნელოვანესი მოვლენა” უწოდა და ორგანიზატორებს ურჩია ხუთდღიანი საკონკურსო ჩვენებებით არ შემოფარგლულიყო მათი მუშაობა, არამედ, ფესტივალი მთელი საქართველოს კეთილმოწესე ადამიანებისათვის გამხდარიყო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი. ამიტომ, ფესტივალზე გამარჯვებული და გამორჩეული ფილმები ნაჩვენები იქნა საქართველოს ყველა ეპარქიაში, აგრეთვე, დასავლეთ ევროპის ეპარქიებში და იმ ქვეყნებშიც, სადაც ჩვენი თანამემამულენი მრავლად არიან წარმოდგენილი, რადგან, საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ – მშობლიურ ენაზე გაგონილი ღვთის სადიდებელი სიტყვა, კინოს ენით გადმოცემული ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის საგანძურების ხილვა, თავისი ქვეყნის შეცნობა-არდავიწყება. ამ მხრივაც, „წმიდა ანდრიას ჯვარი“ წარმატებით იღვწის.

V საერთაშორისო ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ მიეძღვნა სვეტიცხოვლის აშენებიდან 1700 წლის და განახლებიდან 1000 წლისთავს.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: დეკანოზი **მამა მიქაელი**, დეკანოზი **მამა ბასილი**, კინომცოდნე **მარინა კერესელიძე**, რეჟისორი **ზაზა ხალვაში**, კინოდრამატურგი **თამარ ბართაია**, სიგელ-გუჯარით დააჯილდოვა ფილმები: „მოგზაურობა წმინდა მიწაზე“ (რეჟისორი – **ლევან ქიქავა**), „მომღერალი ბერები“ (რეჟისორი – **ტომას ფერენც შმიდტი**), „იხარე ორსავ სოფელსა შინა“ (რეჟისორი – **ლუდმილა ნიკიტინა**), „ზემო აჭარა“ (რეჟისორი – **რუსუდან-ანასტასია დადეშქელიანი**), „გამოსალმების ხელოვნება“ (რეჟისორი – **ზვიად მიქელაძე**), „სამთავროს დედათა მონასტერი“ (რეჟისორი – **მარიამ ადამაშვილი**), „თოვლიანი მთები“ (რეჟისორი – **ლაშა ფარჯიანი**), „სამშობლო ხარ ჩემი“ (რეჟისორი – **ნონა გედენიძე**).

ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ანდრიას ჯვარი“ დაჯილდოვდნენ:

♦ნომინაცია საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – „Лампа не гаснет“ (რეჟისორი – **მაქსიმ მიხალცევი**);

♦ნომინაცია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – „ნუბიურ ჯოჯოხეთში შთასვლა“ (რეჟისორი – **ეჟი ლუბახი**);

♦ნომინაცია საუკეთესო ტელეპროექტი – „დავით არსენიშვილი“ (რეჟისორი – **ნიკა არიშვილი**).

ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა ფილმს: „Главная роль“ (რეჟისორები – **ვიტალი ლუბეცკი** და **ნატალია განჩაროვა**).

14 და 15 დეკემბერს ფესტივალის ორგანიზატორებმა და საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მოაწყო ფესტივალში გამარჯვებული ფილმების ჩვენება. წარმოდგენილი იყო შემდეგი ფილმები:

„დავით არსენიშვილი“, ქრონომეტრაჟი – 25:10 წუთი.








„ნუბიურ ჯოჯოხეთში შთასვლა“, ქრონომეტრაჟი – 25 წთ.;

„ყვავილებით შემკული ბარათები“, ქრონომეტრაჟი – 25 წთ.;

„Лампа не гаснет“, ქრონომეტრაჟი – 42 წთ.;

„Главная роль“, ქრონომეტრაჟი – 32 წთ.;

„მომღერალი ბერები“, ქრონომეტრაჟი – 75 წთ.

*„ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ ემსახურება კინოს ენით თქმულ მართლმადიდებლობის, ისტორიის და კულტურის ქადაგებას. ფესტივალი ხელს უწყობს ახალგაზრდა რეჟისორების წარმოჩენას. „წმინდა ანდრიას ჯვარმა“ საერთაშორისო არენაზე უკვე შექმნა თავისი ბრენდი. მოხარული ვარ, რომ ფესტივალი ყოველწლიურად აჭარაში ტარდება, სადაც მოციქულებმა პირველად იქადაგეს მართლმადიდებლობა. ფესტივალის შემდეგ კი, ფესტივალში მონაწილე ფილმების ჩვენება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იმართება. დავდივართ საჯარო სკოლებში და მოსწავლეებს ვაჩვენებთ ფილმებს, რომლებიც ასახავს ჩვენი ერის კულტურისა და რელიგიის ისტორიას“* – განაცხადა ფესტივალის დირექტორმა **მათე ტაკიძემ**.

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** 2010 წლის შედეგები მასმედიის წარმომადგენლებთან გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ ოფისში შეაჯამა. მინისტრმა ვრცლად ისაუბრა 2010 წლის განმავლობაში განათლების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებზე, კერძოდ საატესტატო გამოცდების შემოღებაზე, საქართველოში ათასი ინგლისურენოვანი პედაგოგის ჩამოყვანასა და მანდატურების ინსტიტუტის დანერგვაზე. მინისტრის განცხადებით, მთავრობამ საზოგადოებისთვის 2010 წლის დასაწყისში მიცემული ყველა პირობა შეასრულა – სკოლებში დამკვიდრდა დისციპლინა, გაიზარდა მოსწავლეთა დასწრება და გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, თუმცა განათლების სისტემის წინაშე გამოწვევები კვლავ არსებობს, 2011 წლის განმავლობაში სამინისტრო ამ პრობლემების გადასაჭრელად იმუშავებს.

განათლების სისტემაში ჩატარებული რეფორმები საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობს, რასაც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩატარებული კვლევების შედეგებიც ცხადყოფს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა 65%-ის აზრით ბოლო ერთი წლის განმავლობაში განათლების სისტემაში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, 83% ეთანხმება მანდატურის ინსტიტუტის დანერგვას, 64% ემხრობა საქართველოში ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანას. დიმიტრი შაშკინის განცხადებით, კვლევის შედეგებით საზოგადოებამ ნდობის მანდატი მიანიჭა მთავრობის მიერ განათლების სისტემაში აღებულ რეფორმების კურსს.

* * *

ნეთბუქის გამოყენებით ჩატარებული საუკეთესო გაკვეთილისთვის 3 პედაგოგი ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამოაცხადეს საუკეთესო გაკვეთილის კონკურსი საპილოტე პროგრამის „ნეთბუქები პირველკლასელებისთვის“ მონაწილე დამრიგებლებისთვის.



კონკურსი მიზნად ისახავდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების სფეროში ინტეგრაციის ხელშეწყობასა და ისტ-ის სასწავლო პროცესში გამოყენების მეთოდების გაზიარებას მასწავლებელთა შორის.

კონკურსის მონაწილე პედაგოგებმა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში პირველკლასელებისთვის შექმნეს სასწავლო რესურსები რაც საგაკვეთილო პროცესში პირველკლასელების მიერ ნეთბუქების გამოყენებას ითვალისწინებს.

საკონკურსო კომისიამ გამოავლინა შემდეგი გამარჯვებული პედაგოგები:

◆ მათემატიკასა და ბუნებისმეტყველების ინტეგრირებულ საუკეთესო გაკვეთილისთვის დაჯილდოვდა ქ. თბილისის 53-ე სკოლის პირველი კლასის დამრიგებელი **თამარ ვარდოსანიძე**.

◆ ბათუმის №15 საჯარო სკოლის პედაგოგი **ელისო მიქაია** დაჯილდოვდა ქართული ენის გაკვეთილისთვის.

◆ ბათუმის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი **ნარგიზ ბერიძე** დაჯილდოვდა ინტეგრირებული ქართული და ინგლისური ენის გაკვეთილებისთვის.

ერთ-ერთმა პედაგოგმა – თამარ ვარდოსანიძემ სამინისტროში, სადამრიგებლო კლასის თანდასწრებით, გამარჯვებული გაკვეთილი წარმოადგინა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამის (ტვინინგის) ფარგლებში, აგრძელებს აკადემიური სამიტებისა და ტრენინგების ციკლს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

რიგით მეთერთმეტე რეგიონული აკადემიური სამიტი ჩატარდა ა.წ. 8 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე „რეგულირებადი პროფესიები“. აკადემიური სამიტი გახსნა სოხუმის სახელმწიფო უნივესიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, პროფესორმა **ლარისა თაკალანძემ**. აკადემიურ სამიტზე რეგულირებად პროფესიებზე პრეზენტაციები გააკეთეს: ლიონის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჟაკ პერტეკმა**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანმა **ლია ახალაძემ**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **ვეფხვია გვარამიამ** და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის უფროსმა **გაიანე სიმონიამ**. შემაჯამებელი კომენტარი აკადემიურ სამიტზე გააკეთა Twining/CEIBAL პროექტის ადგილობრივმა მრჩეველმა **ქაი ეტზოლდმა**.

სამიტის შემდეგ, 8-10 დეკემბერს, იმავე თემაზე – „რეგულირებადი პროფესიები“ გაიმართა სემინარი, რომელიც ჩაატარა ლიონის უნივესიტეტის პროფესორმა ჟაკ პერტეკმა. მოწვეულმა ექსპერტმა მონაწილეებს გააცნო ფრანგული და ევროპული გამოცდილება აღნიშნულ თემატიკაზე. სემინა-

აქტუალური თემა



# გიორგი ჩეჩელაშვილი: „საბუნებისმეტყველო საგნებში საატესტატო საგამოცდო პროგრამა მნიშვნელოვნად გამარტივებულია“

**საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით, ყველაზე მეტ კითხვას მოსწავლეები საბუნებისმეტყველო საგნებთან მიმართებაში სვამენ. გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხებს. მოსწავლეთა შეკითხვებს პასუხობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ჩეჩელაშვილი.**

**– როგორ უნდა აითვისონ მოსწავლეებმა 7 თვის განმავლობაში პროგრამა, რომელთანაც შეხება შესაძლებელია ბოლო წლების განმავლობაში არ ჰქონიათ?**

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, შენიშვნა, რომ საბუნებისმეტყველო საგნებთან შეხება საერთოდ არ ჰქონიათ, ყველა მოსწავლისთვის სამართლიანი შეფასება არ არის. ბევრი სწავლობდა, თუმცა ბევრი არ სწავლობდა. იმათ საყურადღებოდ კი, ვისაც მართლა არ ჰქონია ამ საგნებთან შეხება, შემიძლია ვთქვა, საგამოცდო პროგრამა მინიმალურია და განსხვავდება სასკოლო პროგრამისა და ეროვნული სასწავლო გეგმისაგან. საატესტატო საგამოცდო პროგრამა მნიშვნელოვნად გამარტივებულია, შეიძლება ითქვას, განახევრებულიც კი. ამ პროგრამაში შეტანილია ძალიან ზოგადი, ფუნდამენტური საკითხები, რომელთა სწავლაც ზოგადად რთული არ არის, თუკი ამას მოსწავლე მოინდომებს. 7 თვეში, სურვილის შემთხვევაში, ეს ყველაფერი დაძლევადია.

**– თქვენ ახსენეთ, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებით, საატესტატო საგამოცდო პროგრამა შემცირებულია. კონკრეტულად რაში მდგომარეობს განსხვავება?**

– პირველ რიგში, ამოღებულია დეტალიზებული საკითხები. აი, მაგალითად, ქიმიიდან ამოღებულია გარკვეული ნაერთების თვისებები, რომლებიც ძალიან დიდ მოცულობას იკავებს. დატოვებულია მხოლოდ ძალიან შეზღუდული რაოდენობა ძირითადი ნაერთებისა და ამ ნაერთების უმნიშვნელოვანესი თვისებები. ფიზიკაში ამოღებულია საკითხების მთელი ნუსხა: დრეკადობის ძალები; უძრაობის, ხახუნის ძალა; წონა; აჩქარებულად მოძრავი სხეულის წონა; მთლიანად ამოღებულია მარტივი მექანიზმები; გეომეტრული ოპტიკიდან ამოღებულია ლინზები, რაც შედარებით უჭირდათ ბავშვებს; დატოვებულია უმარტივესი სარკე; ელექტრული ურთიერთქმედებიდან ამოღებულია სუპერპოზიციის პრინციპები; ველის დაძაბულობა; დენის წყაროებიდან ამოღებულია ელექტრო მამოძრავებელი ძალის ცნება; მთლიანად ამოღებულია მუხტის გადამტანები; ცვლადი დენი – ეს კიდევ არასრული ჩამონათვალია იმ სიიდან, რაც ფიზიკის პროგრამიდან ამოვიღეთ. რაც შეეხება ბიოლოგიას, აქ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ საკითხები მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნების, გამრავლების ფორმების, ონტოგენეზის, უჯრედის ქიმიური შემადგენლობისა და ნივთიერებათა ცვლის შესახებ, რაც საკმაოდ დიდი და რთული საკითხია; ასევე გენეტიკის ზოგადი კანონზომიერებები; ევოლუციის ფაქტორები და შედეგები... როგორც ხედავთ, პროგრამა საკმაოდ შეკვეცილი, ფაქტობრივად, ძალიან გამარტივებულია.

**– აქედან გამომდინარე, რა სირთულის ტესტები იქნება სამ საბუნებისმეტყველო საგანში?**

– ტესტები არსებობს სხვადასხვა სირთულის: რთული, მარტივი და საშუალო სირთულის ტესტები. ჩვენ გავითვალისწინეთ სასკოლო სისტემაში არსებული ხარვეზები, მოსწავლეების მდგომარეობა და ამიტომ წელს გამოცდაზე ამოცანებს და დავალებებს მხოლოდ მარტივი სირთულის დავალებათა ბლოკიდან შევიტანთ.

**– ბატონო გიორგი, ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეებს მიეცემათ თუ არა დასაანგარიშებლად ფანქარი და ფურცელი? თუ საბუნებისმეტყველო საგნებში არ იქნება ისეთი რთული ამოცანები, რომლებსაც დაანგარიშება სჭირდება?**

– ამოცანები იქნება ისეთი ტიპის, რომ მოსწავლეს ფურცელი და ფანქარი შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეს, მაგრამ თუ ბავშვს სურვილი ექნა, ფურცლისა და ფანქრის დახმარებით ამოხსნას ამოცანა, ამის საშუალება მიეცემა. მაგალითად, შემიძლია ვთქვა, თუ ბავშვს ათის ხუთზე გასაყოფად ფანქარი და ფურცელი სჭირდება, კი ბატონო, გამოიყენოს, მაგრამ ამაზე მეტი და უფრო რთული არითმეტიკული გამოთვლები მოსწავლეს არ დასჭირდება.

**– საბუნებისმეტყველო საგნების გამოცდაზე იქნება თუ არა განსაზღვრული დავალებების რაოდენობა?**

– CAT-ის ტიპის გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკითხების რაოდენობა განსაზღვრული არ იქნება. მოსწავლემ, შესაძლოა, თავისი უნარი უკვე რამდენიმე ამოცანაში გამოავლინოს. მაგალითად, თუ მან ზედიზედ ამოხსნა ნელ-ნელა გართულებული ამოცანები, სულ რაღაც 7-8 კითხვის მერე, შესაძლოა, მიიღოს დადებითი შეფასება და ამით გამოცდა დასრულდეს. მეორე ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი, თუ მან ვერ ამოხსნა ნელ-ნელა, მიმდევრობით გაადვილებული ამოცანები, აქაც პროგრამა უარყოფითი შედეგით თავისთავად დაასრულებს გამოცდას. ასე რომ, საკითხების რაოდენობა თვითონ მოსწავლეზე და იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწორად ან არასწორად ხსნის ამოცანებს.

**– მოსწავლეები ხშირად სვამენ შეკითხვას, რატომ არ არის შესაძლებელი გამოსაშვებ გამოცდებზე საბუნებისმეტყველო საგნებიდან ერთ-ერთი იყოს არჩევითი?**

– ეს კითხვა ალბათ ჩემი მისამართით არასწორად არის დასმული. სასკოლო პროგრამა ითვალისწინებს სამივე საგნის ცოდნას და ეს არის საშუალო განათლებისათვის მიღებული ფორმატი. შემიძლია გითხრათ, რომ მაგალითად, ბიოლოგიაში ამოცანები და მინიმალური სტანდარტი შემოსაზღვრულია იმ პროგრამით, რომელსაც ჩვენი მოსწავლეები მეათე კლასამდე გადიოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალიზებული და გართულებული ბიოლოგია გამოცდაზე საერთოდ არ იქნება.

**– შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ წლევანდელ გამოშვებას ყველაზე მარტივი გამოცდის ჩაბარება მოუწევს, თუ მომავალ წლებშიც ასე იქნება?**

– მომავალი წლის გამოშვებამ უკვე იცის, რომ ეს გამოცდა უნდა ჩააბაროს, ამიტომ შეღავათი, რაც წლევანდელ მეთორმეტეკლასელებს გაეწევათ, მომავალ წელს აღარ იქნება... ვითვალისწინებთ იმას, რომ წელს მოსწავლეებმა ამ გამოცდის შესახებ დიდი ხნით ადრე არ იცოდნენ და ამისთვის წინასწარ ვერ მოემზადნენ.

**– ბატონო გიორგი, თქვენ ფიზიკოსი ბრძანდებით, რა შეგიძლიათ ურჩიოთ მოსწავლეებს, რა საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება და როგორ მოემზადონ ფიზიკის გამოცდისთვის?**

– როგორც ფიზიკოსი მოსწავლეებს ვურჩევ, არ დაიზეპირონ ფორმულები, არ დაიზეპირონ წესები. ნებისმიერ საკითხს, რომელსაც სწავლობენ, მიუდგნენ ღრმად და გააზრებულად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ამოცანის ამოხსნას. დავალების სახით, მათ არ მოეთხოვებათ ფორმულის ზეპირი ცოდნა ან რაღაც წესის ჩამოყალიბება. გამოცდაზე უმარტივესი კითხვები იქნება დასმული, მაგრამ მოსწავლეს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რას ეკითხებიან და ისე გასცეს სწორი პასუხი.

## ინფორმაცია

რებზე დასასწრებად 30-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტის წარმომადგენელი დარეგისტრირდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პირველი საჯარო უწყებაა საქართველოში, სადაც ხორციელდება ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ევროპული სტანდარტების დანერგვას. პროგრამა ხორციელდება გერმანიასა და საფრანგეთთან ერთად.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი **გია მამულაშვილი** სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ, რომელზედაც თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებლები ინტერაქტიური დაფის-smartboard-ის სასწავლო პროცესში გამოყენებას გაეცნენ.

სამინისტროს საინოვაციო ცენტრში მასწავლებელთა გადამზადება ეტაპობრივად მიმდინარეობს, სამუშაო შეხვედრებზე ისინი ინტერაქტიურ დაფასთან მუშაობას ეცნობიან და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების შესაძლებლობებს განიხილავენ, ასევე ეცნობიან ქართულენოვან სასწავლო რესურსებს. მომავალი კვირიდან კი, მასწავლებლები სამინისტროში თავად ჩაატარებენ გაკვეთილებს smartboard-ის გამოყენებით.

ინტერაქტიური ელექტრონული დაფა ნოვაციაა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. ევროპისა და ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში დაფას წარმატებით იყენებენ. კვლევებმა აჩვენა, რომ smartboard-ის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მათ აკადემიურ მოსწრებას, ამცირებს ახალი მასალის ახსნასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ხელს უწყობს მასალის დამახსოვრებას.

დაფას უნიკალური შესაძლებლობები აქვს. მასზე ყველა მოქმედება ელექტრონულად ხორციელდება, გამოიყენება ნებისმიერი საგნის სწავლების პროცესში, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას დაფა ვირტუალური ლაბორატორიის ფუნქციას იძენს, კომპიუტერთანაა დაკავშირებული და ნებისმიერ მოქმედებას, რაც მასზე ხორციელდება, კომპიუტერი იმახსოვრებს.

მასწავლებელს ელექტრონული დაფის გამოყენებით შესაძლებლობა ექნება მოსწავლეებს ტესტირება ჩაუტაროს, მოსწავლეები დისტანციური მართვის პულტების დახმარებით დააფიქსირებენ პასუხების თავიანთ ვარიანტებს. თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს და ადვილად დაძლევადს ხდის სწავლა-სწავლების პროცესს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, გამოჩენილ მეცნიერს, ასტროფიზიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსს, ბატონ **ჯუმბერ ლომინაძეს** ნაყოფიერი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის ბრწყინვალების ორდენი გადასცა.

ჯუმბერ ლომინაძე 250-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი, საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **ევგენი ხარაძის** აბასთუმნის ნაციონალური ასტროფიზიკის ობსერვატორიის დირექტორი, ობსერვატორიის პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს კოსმოსური სააგენტოს თავმჯდომარე, ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ღვაწლმოსილი მეცნიერი დღესაც აგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა სამინისტროს 2010 წლის ანგარიში პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2009-2012 წლები) განხორციელების შესახებ. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე, პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ანგარიში მოიცავდა ინფორმაციას სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ. მიმდინარე რეფორმა მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნას, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და ხელს შეუწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციათა ნუსხა-კლასიფიკატორი; შეიქმნა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტები; შემუშავდა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები; მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის გაუმჯობესება; შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდები და სხვ.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში სამინისტროს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პარტნიორი ორგანიზაციები (INWENT, USAID, UNDP, IOM, GTZ, NRC და სხვ.), მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა არაერთი პრიორიტეტული პროექტი.

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ალექსანდრე კარტოზიას მამის

**გურამ კარტოზიას**

გარდაცვალების გამო

XX საუკუნის პორტრეტები

# „ვეფხისტყაოსნით“ გადარჩენილი სიცოცხლის ისტორია

მე-20 საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი, აღმოსავლური რენესანსის თეორიის შემქმნელი, პეტრე იბერის ისტორიული ღვაწლის დამდგენი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მთარგმნელი, რუსთველოლოგი, მჭევრმეტყველი და დიდი ორატორი. მისი მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვა საქვეყნოდ ცნობილი გახლდათ. მასზე ლეგენდებს ჰყვებიან. როდესაც ლექციებს კითხულობდა, აუდიტორიაში ტევა არ იყო. მის მოსასმენად ისინიც კი მიდიოდნენ, ვისაც მის ლექციაზე დასწრება სულაც არ ევალებოდა. აი, ასე ახასიათებდნენ შალვა ნუცუბიძეს მისი თანამედროვენი.

*„შალვა ნუცუბიძე უკვე ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მნიშვნელობას ინარჩუნებს დღევანდელობისათვის, ახალი თაობის აღზრდისათვის, რადგან აღზრდაში მაგალითი ყოველგვარ თეორიაზე მაღლა დგას. როცა ასეთ პიროვნებებს ვიხსენებთ, თანამედროვეებს მოვაგონებთ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ეპოქის რთულ ვითარებაშიც თავდადებით ემსახურებიან მეცნიერებასა და თავის ქვეყანას. მათ გაფრთხილება უნდა“.* 14 დეკემბერს შალვა ნუცუბიძეს დაბადებიდან 122 წელი შეუსრულდა. დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებზე მისი შვილი **თამარ ნუცუბიძე** გვესაუბრება.

## წინაპრები

მისი ორივე ბაბუა მღვდელი იყო. განსაკუთრებით კარგი ბიბლიოთეკა ჰქონია დედის მამას. ტყავის ყდებში ჩასმული ძველი წიგნების სურნელი მამას ბოლომდე დარჩა მღელვარე მოგონებად. მამა – ისააკ ნუცუბიძე, ხონის სახალხო მასწავლებელი იყო. შვილებს ტრადიციულად ზრდიდა: სიმკაცრესა და მომთხოვნელობას მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ალერსით არ ანებივრებდა. თავისი ცხოვრების წესით შვილების რიდსა და პატივისცემას იმსახურებდა. *„არ ყოფილა შემთხვევა, მიუხედავად ჩემი აგრესიული აზროვნებისა, რაიმეში შევკამათებოდი ამ საკვირველ ადამიანს, რომელსაც ჩემთვის მთელ სიცოცხლეში ერთხელ არ უთქვამს სიტყვა „შვილო“* – იგონებდა მამა. დედა – რებეკა დავითაშვილი დიასახლისი იყო.

*„დავიბადე ფარცხანაყანევში 1888 წლის 14 დეკემბერს“,* – ატყობინებდა მამა დასავლეთგერმანული ფილოსოფიური ლექსიკონის შემდგენლებს. ხედავთ რა შორს გავიტანე ჩემი სოფლის სახელიო?! – სიამაყით ამბობდა ხოლმე. თითქოს უცნაურია, რომ პროვინციაში აღზრდილმა ახალგაზრდამ თავისი ცხოვრების მიზნად ცოდნის უზოგადესი დარგი – ფილოსოფია აირჩია. დაწყებითი განათლება ხონში მიიღო. დაწყებით სკოლას შესანიშნავი პედაგოგი – ილია ამაღლობელი ხელმძღვანელობდა. მამამ აქ ნახა აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე წულუკიძე, ძმები მდივნები, ვანო და გიორგი სტურუები, სტალინი.

1897 წლიდან სწავლას აგრძელებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც როგორც საერთო განათლებას, ასევე უცხო ენების კარგ ცოდნას იძლეოდა. მამა კარგად ფლობდა ძველ ბერძნულ, რუსულ, ლათინურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. ენების საუცხოო ცოდნაში მას ხელს უწყობდა იშვიათი მეხსიერება, რომელსაც ბედშიაც და უბედობაშიც თავის „უერთგულეს მეგობარს“ უწოდებდა.

1906 წელს მამა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით აგრძელებს სწავლას. მალევე იქცევს პროფესორ-მასწავლებლების ყურადღებას. *„მე რომ ჩავედი პეტერბურგში, მან (პროფესორმა) ვერ დამისახელა თითქმის ვერცერთი წიგნი, რომელიც წაკითხული არ მქონდა“* – იხსენებდა მამა. 1910 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მასწავლებლად აგზავნიან ყუბანის ოლქში. მოგეხსენებათ სოფლის პირობები, მამას საკმაოდ რთულ ვითარებაში უხდებოდა მუშაობა: *„როდესაც ჩემი წიგნები ამოვიღე და გავშალე, მივხვდი, ამათ იმედით ყველგან გაიძლებაო“.* ამ დროს ცოლად მოჰყავს აგნესა ფილიპოვა, მასთან შეეძინა ქალიშვილი ქეთევანი (კიწი). 1911 წელს თავისი ფილოსოფიური შეხედულებების პირველი მონახაზით წარდგა ლაიფციგის უნივერსიტეტში გამართულ საზაფხულო სემინარზე. ამ დროს იგი 23 წლის იყო.



შალვა ნუცუბიძე და ივანე ბერიტაშვილი

## ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი

მოგეხსენებათ, ქართველი ახალგაზრდობა განათლების მისაღებად რუსეთსა და საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, მაგრამ მათი მიზანი საქართველოში დაბრუნება და მშობლიურ ნიადაგზე მოღვაწეობა იყო. მოხდა თუ არა თებერვლის რევოლუცია, ივანე ჯავახიშვილი და მის ირგვლივ შემოკრებილი ქართველ მეცნიერთა ჯგუფი შეუდგა ბრძოლას ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად. 1918 წელს უნივერსიტეტის შექმნის რეალური პირობა გაჩნდა, ქართველი მეცნიერების ჩამოყვანა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან შალვა ნუცუბიძეს დაევალა. ეს არ იყო ადვილი, ვინაიდან რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ის მაშინ 29 წლის იყო.

12 წლის განშორების შემდეგ მამა საქართველოში ბრუნდება, როგორც ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

## პოლიტიკური მოღვაწეობა

მისი პოლიტიკური იდეალი ასეთი იყო: *„პირველი პრობლემა თავისუფლებისა არის ეროვნული თავისუფლებების პრობლემა, შემდეგ – ერის წიაღში სოციალური ჯგუფების განთავისუფლება, რაც ნიადაგს უმზადებს პიროვნების სრულ განთავისუფლებას. ეს იქნება მომენტი მსოფლიო რენესანსისა“.* მამა მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობაში და იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

1921 წლის თებერვლის დამლევს მამა ბათუმის პორტში იდგა. ბევრი მისი მეგობარი ტოვებდა სამშობლოს, ეგონათ – დროებით. მამამ საკუთარ გულისხმას დაუჯერა და დარჩა. სიმართლე გამხელილი სჯობია, ჰქონდა ისეთი მწარე დღეები, როდესაც ნანობდა, რატომ არ შედგა იმ გემზე ფეხი. ხუმრობდა ხოლმე: სამი მთავრობა გამოვიცვალე და ვერც ერთს თავი ვერ შევაყვარეო.

## რეპრესიები

ამ პერიოდში ქვეყანა სულ უფრო ღრმად შედიოდა იმ ხანაში, როცა დამოუკიდებელი აზროვნება და დიდი ავტორიტეტი ეჭვის და უნდობლობის საბაბი ხდებოდა. მისი მჭევრმეტყველების ერთ-ერთი ხიბლი აზრის უკანმოუხედავი სითამამე იყო. იმ დროს, როცა ყოველ სიტყვას მისხლით ზომავდნენ, მამას თამამი გამოსვლა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე. 1938 წლის ზაფხულში დააპატიმრეს ტაშისკარში, როგორც „გერმანიის ფაშიზმის აგენტი“ და მოსკოვში, ლუბლიანკაზე წაიყვანეს. მისი ბინა შინსახკომის თანამშრომელს გადასცეს. დაიკარგა ბევრი წიგნი, წერილი და სხვადასხვა ხელნაწერი. გასაგებია, ალბათ, რა დიდი ზიანი მიაყენა ამგვარმა ჩხრეკებმა ჩვენი კულტურის ისტორიას.

## შინ მოწერილი წერილები

*„...ჯერ კიდევ სიზმარი მგონია რაც მოხდა. რვა თვე ციხე, ორი თვე „ოდინოჩკა“. ადამიანი, გენაცვალე, ოხერი ყოფილა. თურმე ცხოვრებაში არაფრის არ უნდა გეშინოდეს. მე რომ დაკეტილი კარის რამდენიმე წუთით ატანა არ შემეძლო, ციხემ ეს სულ დამავიწყა. თბილისში ცოტა დამაკლდა – კინაღამ გადავირიე. გადავწყვიტე თავის ჩამოხრჩობა, ისე შევიმალე, მაგრამ ხმაურობაზე ამხანაგებმა გაიღვიძეს კამერაში და ჩამომხსნეს მკვდარცოცხალი. უკანასკნელ წერტილზე მივედი. ამ დროს, რომ ვთავდებოდი, მოსკოვმა გამომიძახა... როცა გარეთ გამომიყვანეს, მეგონა დასახვრეტად მივყავდი. როცა ავტომობილებმა ჩვენსკენ მოუხვიეს და ვაგზლისკენ წამოვიდნენ, ცოტა დავმშვიდდი. ღამე იყო. წვიმდა. ქუჩაში ვერავინ დავინახე. აქეთ-იქით მცველები მეჯდა, ჩვენ სახლთან ჩამოვიარეთ. კაკლის ხეს ფოთლები ჯერ კიდევ ჰქონდა, რაც სახლს ჯოჯოხეთივით აბნელებდა. დავემშვიდობე ყველას და ყველაფერს. იმის მიხედვით, რაც თბილისში საქმე შემიდგინეს და რაც „პატიოსანმა ინტელიგენტებმა და ჩვენმა მეგობრებმა“ აჩვენეს ჩემზე, საქმე უკეთეს შემთხვევაში საციმბიროდ მიდიოდა ათი-თხუთმეტი წლით, თუ არა და უარესიც... მაგრამ ღმერთმა და ლოცვამ არ გაგვწირა, დედაჩემო“.*

## სტალინთან შეხვედრა

მამა ხშირად ამბობდა, სიკვდილს რუსთაველმა გადამარჩინაო. ერთ დღეს უთქვამთ მისთვის, სტალინი დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნის“ თქვენი თარგმანით, მოგეცემათ საშუალება, თქვენი მუშაობა ბოლომდე მიიყვანოთო. მეორე დღესვე კამერაში იდო „ვეფხისტყაოსანი“. ყოველ შაბათს მიჰქონდათ თარგმნილი ნაწილები. როგორც მომავალში გაირკვა, ამ მასალას იოსებ სტალინი კითხულობდა. სასიგნალო ეგზემპლარზე დღემდე შემორჩენილია მისი ხელით გაკეთებული შენიშვნები და გადახაზული ილუსტრაციები, რომლებიც არ მოეწონა. სტალინის განკარგულებით, მამა გაათავისუფლეს თარგმანის გარკვეულ ვადაში შესრულების პირობით, მოსკოვიდან გასვლის უფლების გარეშე. 1939 წლის მაისში, მამამ დაამთავრა თარგმანზე მუშაობა. 1940 წლის 20 ოქტომბერს, ღამით, მამა ციხიდან გაჰყავთ და სადღაც გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ, ბოლო წუთამდე არ იცოდა, რა ელოდა წინ... *„...ამ წერილს იმიტომ გწერთ, რომ შეიძლება მანდ ყალბი მითქმა-მოთქმა შეიქმნეს. თქვენ იცოდეთ სწორი ამბავი. საქმე შემდეგია: ჩვენი ქვეყნის უდიდესმა კაცმა წაიკითხა ჩემი თარგმანი, ძალიან მოეწონა და კვირას (20.X.40) მიმიწვია თავისას კრემლში... წამაკითხა მე თვითონ ზოგი ნაწილი. თვითონ თავიდან ბოლომდე წაეკითხა მანამდე. ყველა არსებული თარგმანებიც იქვე ჰქონდა გაშლილი და არსებული დედანიც. მის სიტყვებს ასე უბრალოდ წერილში ვერ მოგწერთ. ძალიან მაქო, მერე შუბლზე მაკოცა, ცოტა გაწყენინეთ, მაგრამ დაივიწყეო. ვახშმად დამპატიჟა... საკვირველი ნაკითხობა გამოიჩინა... ჩემთან ერთად სერიოჟა ქავთარაძეც იყო... ჩემი წიგნის გამოცემაზე გამოკითხა. თავისი მოსაზრებებიც თქვა. უთხრა ძალიან კარგად უნდა გამოსცეთ და რაც შეიძლება მეტი, რომ მასებამდე მივიდესო“* (ამონარიდი უფროსი ქალიშვილისადმი მიწერილი წერილიდან – 1940. 23.10.). ამ შეხვედრას ესწრებოდა ოთხი ქართველი: ლავრენტი ბერია, სერგო ქავთარაძე, სტალინი და შალვა ნუცუბიძე. მამა ხშირად იხსენებდა ამ შეხვედრის შესახებ: *„სტალინი ლაპარაკობდა ქართულად, ხან რუსულად, საუბრობდა ძალიან საინტერესო ქართულ თემებზე, ლაპარაკობდა იმ რამდენიმე მილიონ ქართველზე, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. სუფრაზე, ექვსმილიონიანი საქართველოს სადღეგრძელო დაილია“.*

1941 წლის დასაწყისში, მოსკოვში, დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული თარგმანი. აი, რას წერს მამა უფროს ქალიშვილს: *„...ისევ სტალინთან გამომიძახეს, დიდი კაცი მხიარული ღიმილით შემხვდა. მითხრა, ტექსტი საბოლოოდ ძალიან გაგიმართავს. გაფორმება წიგნის მთლად არ მოეწონა. სურათები ზიჩისა დაიწუნა. ზოგი გამოცვალეთ და ზოგი ახალი ჩაურთეთო. მათრახი რომ გადასცხო ტარიელმა მდევნელებს, ის სურათი რატომ გამოუშვითო... მიგვითითა როგორ უნდა გამოიყურებოდეს წიგნი... ერთი საათი მელაპარაკა, როცა გაათავა, მითხრა – ეს წიგნი წაიღე, დირექტორს გამომცემლობისა აუხსენი, რაც გითხარი... მისი წარწერებით წიგნი მაჩუქა... ბერიამ მითხრა, საქართველოში როცა გინდა წადიო. ბინა შენი ჩასვლისთანავე თავისუფალი იქნებაო... ეხლა კი ჩემი თხოვნა. ამ ამბავს თქვენგან ნურავინ გაიგებს. ეს არ არის საჭირო და შეიძლება უსიამოვნების მიზეზიც იყოს...“*

## საოჯახო არქივიდან

შალვა ნუცუბიძის ციტირებულ წერილში, ორი საყურადღებო და მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლებიც მან ბელადის ნებართვით გადაწერა. პირველი მათგანი ლავრენტი ბერიას მისამართითაა დაწერილი: *„ბოლო დრომდე, მე მიმაჩნდა, რომ რუსულ ენაზე საუკეთესო თარგმანი პეტრენკოს ეკუთვნის. ნუცუბიძის თარგმანის გაცნობის შემდეგ კი მიმაჩნია, რომ ის არა მარტო უკეთესია პეტრენკოს თარგმანზე, არამედ, თავისთავად გამორჩეული ლიტერატურული მოვლენაა“.* იოსებ სტალინმა შესთავაზა ერთი სტროფის საკუთარი თარგმანი, რომელიც შევიდა შალვა ნუცუბიძისეული თარგმანის ამ და მომდევნო გამოცემაში. რაც შეეხება მეორე დოკუმენტს. მას, როგორც ჩანს, უნდოდა ეჩვენებინა ბელადის გასაოცარი სისადავე. ეს წერილი გაეგზავნა „გოსკომიზდატის“ დირექტორს – ჩაგინს: *„მე მოვითხოვ, რომ ჩემი სახელი არ იყოს მოხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში“.* ამიტომ იყო, რომ ეს ფაქტი წლების განმავლობაში ლიტერატურათმცოდნეებისთვის უფრო იყო ცნობილი, ვიდრე საზოგადოების ფართო ფენებისთვის.

1940 წელს წიგნის გამოცემა უკვე დაწყებული იყო, როდესაც ერთი ეგზემპლარი იოსებ სტალინს მიუტანეს. რა თქმა უნდა, ის ერთი სტროფიც ჩართული იყო მასში, მაგრამ სტალინმა წიგნი დაიწუნა და რამდენიმე შესწორება შეიტანა. პირველ გვერდზე, სადაც ეწერა: „შალვა ნუცუბიძის თარგმანი“, სტალინმა ჩაამატა სიტყვა: „ქართულიდან“. ეს თქვენ იცით, რომ ქართულიდან თარგმნა შალვა ნუცუბიძემ, ციმბირში ან სხვაგან კი არავინ იცის ამის შესახებო. იმ საღამოსვე ძველი ტირაჟი „დააპატიმრეს“, რამდენიმე თვეში, 1941 წელს, გამოვიდა ახალი, სტალინის მიერ ჩასწორებული ვარიანტი. პოემის ერთი ეგზემპლარი დღემდე ინახება გორში, იოსებ სტალინის სახელობის სახლ-მუზეუმში.

C M Y K

XX საუკუნის პორტრეტები

## მსოფლმხედველობა

მას არ შეუცვლია მსოფლმხედველობა, მთელი ცხოვრება ფარული ეროვნული სევდით ცხოვრობდა, ამას მისი ოჯახის წევრები ყოველთვის ვგრძნობდით. მისი ოცნება იყო, საქართველოს დამოუკიდებლობას მოსწრებოდა. *„მე მოვესწრები, შვილო, რომ რუსები საქართველოდან წავლენ“*, – სულ ამას იმეორებდა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. მისტიროდა სამწლიან დამოუკიდებლობას. მამამ საკმაოდ ადრეულ ასაკში მიიღო პარტიულ და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობის გამოცდილება და ესეც ეხმარებოდა იმაში, რომ არ ჰქონოდა ილუზია სტალინის პიროვნებისადმი. სძაგდა დიქტატურა და იყო მომენტი, როდესაც ამბობდა: „თავისუფლებისათვის, მზად ვარ, ბარიკადებზე მოვიკლა თავიო. ზოგჯერ დედაჩემს შესძახებდა: ნუ ხარ ამ სახლში სტალინივითო. როცა ცაზე ღრუბლები ჩამოწვებოდა, იტყოდა ხოლმე: „როგორ სტალინის შუბლივითაა შეკრული ცა!“. ბელადის სახელით აჭრელებული პრესის გაცნობისას უთქვამს: „სტალინი, სტალინს, სტალინმა... შეუძლებელია ამ გაზეთების კითხვა“. როდესაც 7 ნოემბრის და 1 მაისის დღესასწაულები მოახლოვდებოდა, ქალაქიდან გარბოდა. მე ამათი „ვაშა“ და„ურას“ გაგონება არ შემიძლია, შემატყობინეთ, ყველა პლაკატს რომ ჩამოხსნიან, მაშინ დავბრუნდებიო.

## პატიმრობის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მამა საქართველოში ბრუნდება და ახალ ცხოვრებას იწყებს. მას დიდი სიყვარულით ხვდება ქართული ინტელიგენცია და სტუდენტობა. თბილისის უნივერსიტეტში ლექციების კითხვას აგრძელებს. მალე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ირჩევენ. ამ პერიოდში მამას მეუღლე აღარ ჰყავს, ის 1937 წელს გარდაიცვალა. დიდ უკულტურობად მიაჩნდა მამაკაცის მარტო ცხოვრება. ამ პერიოდში გაიცნო დედაჩემი – ქეთევან კლიმიაშვილი.

დედა მწერლობაზე ოცნებობდა, თავისი ნოველები გასაცნობად შალვა ნუცუბიძესთან მიაქვს და სახლთან ელოდება. ასე გაიცნეს ერთმანეთი. მამას ნოველები მოსწონებია, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მისთვის ცოლობა უთხოვია. სოფელ გლდანში კარმიდამო გაიჩინეს, სადაც თითქმის ზამთრამდე ცხოვრობდნენ. მამა დილაადრიან გონებრივ მუშაობას იწყებდა, შემდეგ – ბაღ-ვენახს უვლიდა და სტუმრებს თავმომწონედ უჩვენებდა მუშაობისაგან დაკოჟრილ ხელებს. დედა მხარში ედგა მამას, რომ არა დედაჩემი, არ იქნებოდა უნივერსიტეტში მამას სახელობის აუდიტორია, მამას გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ.

## მეორე ბრალდება – „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“

1948 წელს, ფილოსოფიის ინსტიტუტში, გაიმართა შალვა ნუცუბიძის წიგნის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ გახმაურებული განხილვა. დისკუსიის თავმჯდომარემ, ცკ-ს მდივანმა პეტრე შარიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კამათში გამოსულთ მკაცრად დაეგმოთ წიგნი და წიგნის ავტორი. რესპუბლიკის ყოფილი პროკურორი ვ. ტალახაძე წიგნს „იდეოლოგიური სიწმინდის“ თვალსაზრისით განიხილავდა და ამ მხრივ მრავალ მკრეხელობაში ამხელდა ავტორს. მეტ-ნაკლებად გულწრფელი აზრის გამოხატვა მხოლოდ ორიოდე გამომსვლელმა შეძლო; წიგნის რედაქტორიც კი –კორნელი კეკელიძე იძულებული გახდა, უკან დაეხია – შალვა ნუცუბიძემ შეცდომაში შემიყვანაო, რაზეც მამამ ხუმრობით უპასუხა: *„თქვენ უკან დაიხიეთ, მაგრამ არაა გასაკვირი. თქვენ ღმერთს უღალატეთ და მე რომ მიღალატოთ რა გასაკვირია“* (ახალგაზრდობაში კორნელი კეკელიძე დეკანოზი იყო). მოკლედ მამა ამ წიგნის გამო დაუნდობლად ამხილეს, როგორც „მარქსიზმის ვულგარიზატორი“, „შუასაუკუნეობრივი მისტიკის“ აპოლოგეტი, მარქსიზმის შენიღბული „ალეთოლოგიური რეალიზმის“ ავტორი. თანადგომის გამომჟღავნება ვერავინ გაბედა, მხარი არავინ დაუჭირა. მამა მარტო აღმოჩნდა. საპასუხო სიტყვაში მან არ დათმო თავისი პოზიცია და აღნიშნა: *„ოპონენტთა ერთი ჯგუფი პოლიტიკური პოზიციებიდან გამოვიდა. ეს შეცდომაა. მე არ განმიზრახავს მარქსისტული წიგნის დაწერა... მე დოგმატური მარქსიზმის მომხრე არ ვარ...“* 1949 წლის 25 აპრილს მამას ათავისუფლებენ ფილოსოფიის ინსტიტუტიდან იმის გამო, რომ ვერ შეძლო „იდეალისტური თვალსაზრისის დაძლევა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე აყვანა“.



*გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე. 1968 წელი*

## მესამე ბრალდება – „ფაშიზმის აგენტი“

1950-იანი წლების დასაწყისისათვის მამა ინტენსიურად მუშაობს ქართული ფილოსოფიის ისტორიის შექმნაზე.

დიდი შინაგანი ენერგია და დასახული მიზნის მნიშვნელობის შეგნება იყო საჭირო იმისთვის, რომ ეს საქმე ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, წარმოიდგინეთ, იგი „ბერიას აგენტად“ გამოაცხადეს. მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ მამას ჩამოართვა აკადემიის ნამდვილი წევრის წოდება, თბილისის უნივერსიტეტმა კი პროფესორის თანამდებობიდან გაათავისუფლა. სახლში რომ დაბრუნდა, დედას ყველაფერი მოუყვა და ელოდებოდა განაჩენს. სამი დღის შემდეგ შინსახკომში თავად დაურეკავს – მოდიხართ თუ მოვიდეო. ეს იყო 1953 წელი, მე მაშინ სკოლიდანაც კი გამიშვეს, როგორც „ხალხის მტრის“ შვილი.

დიდი დრო დასჭირდა მამას იმის დასამტკიცებლად, რომ „ფაშიზმის აგენტი“ არ იყო და მისი ციხიდან განთავისუფლება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ სტალინს დასჭირდა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი. ასეთ ვითარებაში მან 7 წელი გაატარა და მხოლოდ 1960 წლის აპრილში მიიღო საკავშირო პროკურატურიდან სრული რეაბილიტაცია და აღდგენილ იქნა მისი მეცნიერული სტატუსი.

## ქართული ფილოსოფიის ისტორიის შექმნა

ვიდრე სამართლიანობა აღდგებოდა ადგილობრივმა მთავრობამ მამას ხელი შეუწყო, რომ წიგნები ებეჭდა. გამოიცა მისი „ქართული ფილოსოფიის ისტორია“. ამ ნაშრომით შალვა ნუცუბიძემ დიდად შეუწყო ხელი ფილოსოფიის ზოგადი ისტორიისა და ქართველოლოგიის ცალკე დარგის – ქართული ფილოსოფიის ისტორიის ჩამოყალიბებას. მან ბევრი რამ გააკეთა ქართული კულტურის გასატანად მსოფლიო ასპარეზზე. *„ევროპაში რომ გავიდეთ, ჯერ რუსეთზე უნდა გავიაროთ“* – ამბობდა იგი. ამიტომ თავის ძირითად ნაშრომებს რუსულად აქვეყნებდა. „ვეფხისტყაოსნის“ გარდა რუსულად თარგმნა ჩახრუხაძის „თამარიანი“, შავთელის „აბდულ-მესია“ და ხალხური „ამირანი“.

## დევნა

შეურაცხყოფაც ბევრჯერ მიაყენეს , მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სულიერად მაინც არ დაცემულა, არასოდეს კარგავდა ღირსებას. იყო მუდამ შემართული და ქედუხრელი, ყველაზე მძიმე წუთებშიც კი. ძლიერ განიცდიდა ყოველივეს, რაც საქართველოს უკავშირდებოდა. წარმოიდგინეთ მამა ყველაფერს ჩამოაშორეს.

მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი პალესტინაში არსებული ქართული კულტურის ცენტრების მოღვაწეთა ნააზრევის შესწავლაში. ბუნებრივია, მოელოდა, რომ ჩართული იქნებოდა რუსთაველის პორტრეტის შესწავლისათვის იერუსალიმში მივლინებულ ექსპედიციაში, მაგრამ ასე არ მოხდა და არც გაჰკვირვებია, რადგან მიჩვეული იყო მის მიმართ მსგავს დამოკიდებულებას. ძველი პალესტინა მისი სულის ნაწილი იყო. თვალებზე ცრემლი მოადგა, როცა ტელევიზიით ნახა მდინარე იორდანი, რომლის ნაპირებზე პეტრე იბერსა და სხვა ქართველ სულიერ მამებს უვლიათ. არა თუ უცხოეთში მივლინება, თბილისში ჩამოსულ უცხოელ კოლეგებსაც იშვიათად ახვედრებდნენ. არც 1966 წელს რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიაღებინეს მონაწილეობა – სტუმრებთან შეხვედრებს არ დაასწრეს და, რაც მთავარია, არც ერთ დარბაზში სიტყვა არ მისცეს. წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და დიდი აუდიტორიების მიღმა რჩებოდა.

როდესაც მამა გარდაიცვალა, მთავრობამ, როგორც იქნა, გამოიტანა დადგენილება მემორიალური დაფის გახსნის შესახებ. დედამ ითხოვა, შალვა ნუცუბიძის სახელი პეროვსკაიას ქუჩას მინიჭებოდა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. არგუმენტად კი, იცით, რა დაუსახელეს? სოფიო პეროვსკაია ცნობილი რევოლუციონერი იყოო. სამწუხაროდ, ზოგიერთი მეცნიერი წინაალმდეგი იყო, მამა უნივერსიტეტში რომ დაეკრძალათ... საფლავიც დიდხანს იყო მოუვლელი...

## მოგონებები მასზე

მისი მოღვაწეობის რუსთველოლოგიურმა მხარემ „ვეფხისტყაოსნის“ არაერთ უცხო ენებზე მთარგმნელთან დააკავშირა. ჩვენს ოჯახში ინახება იაპონურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემა, რომელიც იპნეი ფუკუროს ეკუთვნის. საქართველოში ჩამოსვლისას წიგნთან ერთად იაპონური ყვავილები ჩამოუტანია, რომელიც მამამ აგარაკზე დარგო.

„ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი, ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი იგონებს: *„ბედმა გამიღიმა, რომ ჩემი თარგმანის პასუხისმგებელ ფილოლოგ-კონსულტანტად გამომიყვეს უგანათლებულესი პიროვნება, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. მის შესახებ ქალაქში ათასგვარი საინტერესო და გონებამახვილურ ამბებს ყვებოდნენ, იგი იყო ღვინოების მცოდნე, ქალების გატაცების საგანი, დიდი თეატრალი. მისი კარი ღია იყო სტუდენტობისთვის, ასპირანტების, დისერტანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის. იგი უყვარდათ და ყველა ცდილობდა ახლოს ყოფილიყო მასთან. ბერიამ დააპატიმრა, მაგრამ სტალინის ბრძანებით გაათავისუფლეს... მრავალი საღამო გამიტარებია მის კაბინეტში, სადაც ვტკბებოდი მისი საუბრით, რომელიც ლექციების კურსს უდრიდა, და ვსვამდი თეთრ ღვინოს მისი მარნიდან... ჩემს მიერ თარგმნილ ყოველ ნაწყვეტს მამობრივად იღებდა, გულდასმით და ამასთანავე ხუმრობით ამოწმებდა, ასწორებდა და რჩევებს მაძლევდა, მაგრამ არც ჩემს თავისუფლებას ზღუდავდა, ზოგჯერ საკუთარ ფრაზებსაც მთავაზობდა და ყოველთვის დედანზე მითითებდა: „ჩვენი ვალია, ძველი ქართულის ხატოვანი, მიძინებული სული კი არ შევანჯღრიოთ, არამედ ხელის სათუთი შეხებით გავაღვიძოთ. „ვეფხისტყაოსნის“ პოეზია პეპლების ფრთების ფერადი მტვერით ლივლივებს, მაშინაც კი, როდესაც რაინდი გაშმაგებით ებრძვის ვეფხვს. გაჰყევით პოეზიის გზას და, მიენდეთ ინსტინქტსა და საკუთარ ალღოს და არა გონების კარნახსა და ფილოლოგიას, აი, რა უნდა იყოს თქვენი დევიზი, – მამობრივად მასწავლიდა ჩემი უფროსი მეგობარი“.*

მამა მეგობრობდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, პირველმა სწორედ მან ინახულა მამა მოსკოვში, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ. *„შალვა ნუცუბიძეს ქართული სულობის აღორძინების ბრწყინვალე ტრიბუნს დიდის პატივისცემით. კონსტანტინე გამსახურდია, ტფილისი, 1942 წელი“* – წარწერა წიგნზე *„დავით აღმაშენებელი“*. მამას საუკეთესო მეგობრები იყვნენ: სანდრო ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე, ბათუ კრავეიშვილი, პეტრე ამირანაშვილი, ივანე ბერიტაშვილი და სხვ.

## შალვა ნუცუბიძე – მამა

ძალიან ხალისიანი იყო, უყვარდა ბავშვები. მიუხედავად იმისა, რომ რთული ცხოვრება ჰქონდა და გამუდმებულ ბრძოლებში იყო, ჩვენ ამას ვერ ვგრძნობდით. დედა-მამა ძალიან რელიგიურები იყვნენ. სრულიად განსხვავებული ღირებულებებით გვზრდიდნენ. მამა დიდი პედაგოგი იყო, გვირჩევდა გვესწავლა უცხო ენები, რათა მხატვრული ლიტერატურა ორიგინალში წაგვეკითხა. მახსოვს, როდესაც რუსთაველზე მივდიოდით, მთავრობის სახლის წინ ცილინდრს მოიხდიდა ხოლმე: *„აქ, შვილო, იუნკერები არიან დასაფლავებული“*, – იტყოდა და გვიყვებოდა მათ ამბავს. ერთხელ მამამ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად საგურამოში წაგვიყვანა. წიწამურში შევჩერდით ობელისკთან და დავინახე, მამაჩემს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

ერთ დღეს კინოფილმ „მამლუქზე“ წავედით. როცა ფილმი დამთავრდა, შეწუხებული სახე ჰქონდა და აღელვებულმა თქვა: *„არ უნდა მენახა მე ეს ფილმი“*. ომახიანი ბუნების მიუხედავად, საოცრად განიცდიდა ყოველივეს, რაც საქართველოს უკავშირდებოდა. მასთან ურთიერთობა ადვილი არ იყო. მუშაობის დროს აზროვნების სიღრმეებში იყო ჩაძირული და ვაი მისი ბრალი, ვინც ფიქრის ძაფს გააწყვეტინებდა. სძულდა დოგმები და გაცვეთილი აქსიომები. მისი დევიზი იყო: *„არ მწამს აზრი, თუ ის საკამათო არაა“*.

მამას ჩაფიქრებული ჰქონდა ვრცელი მემუარების დაწერა. ამბობდა, ისეთ მოგონებებს დავწერ, ქვეყანას განვაცვიფრებო. სამწუხაროდ, მხოლოდ ცალკეული ეპიზოდების დაწერა მოასწრო, თანაც ხუმრობდა: მემუარების დასაწერად ცოტა გამოშტერებაა საჭირო და ეს დრო ჯერ არ დამდგომიაო. ცხოვრებისადმი მისი ფილოსოფიური განწყობა კიდევ დიდი ხნის სიცოცხლის გარანტიას აძლევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

## მეგობრობა საქართველოს პატრიარქებთან

მამას მრავალი ლოცვა ზეპირად ახსოვდა და საღვთო სჯული ისე იცოდა, რომ თვით კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე განუცვიფრებია. დღემდე სათუთად ვინახავთ მის ნაჩუქარ ბიბლიას ასეთი წარწერით: *„ორთა ხუცესთა ნაშიერსა და სიბრძნისა მოყვარესა, ჯურღმულსა ამას სიბრძნისასა მიუძღვნის ხუცესთა უხუცესი. 25.V.1951.“* მამა ასევე მეგობრობდა კათალიკოს ეფრემ II სიდამონიძესთან, რომელმაც „ახალი აღთქმა“ უბოძა ასეთი წარწერით: *„ჩემს ძვირფას მასწავლებელს შალვა ნუცუბიძეს უღირსი შეგირდისაგან. ეფრემ II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი“*. მამას თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა რელიგიისადმი. *„ყოველი ადამიანი, რაგინდ პატარა იყოს, ცხოვრების ცენტრია და ამდენად ხიდია უკვდავებისაკენ, სადაც ადამიანთა შეხვედრას საზღვარი არ უძევს“ – წერდა იგი.*

მაინც რამ გადაარჩინა შალვა ნუცუბიძე და როგორ შეინარჩუნა ის გაუტეხელი, ქედუხრელი სული? – მკითხა ერთხელ უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ. მამა რწმენამ და სამშობლოს უანგარო სიყვარულმა გადაარჩინა, ბუნებით ოპტიმისტს სჯეროდა, რომ ბოლოს სიკეთე გაიმარჯვებდა.

*მოამზადა*
***მაკა ყიფიანმა***

ПАМЯТЬ

# ЧЕЛОВЕК ВЫСОКОГО КЛАССА

Несколько лет назад на страницах газеты „ახალი განათლება“ появилась новая рубрика – «Память», предложенная заслуженным учителем Грузии, бывшим инспектором министерства образования республики Виолеттой Ильиничной Гаспаришвили.

Святое дело начала она – увековечить память о лучших учителях нашей страны, о тех, кто верой и правдой служил делу воспитания молодёжи, кто отдал сердца детям, на долю которых выпала честь строить новое государство – თავისუფალი საქართველო.

Как же надо быть благодарным Виолетте Ильиничне за то, что она успела рассказать о тех, кто ещё жив, кому в старости так нужны теплые, светлые воспоминания.

Это так важно кому-то вовремя сказать доброе слово.

К сожалению, сегодня нет с нами Медеи Александровны Каландаришвили. Но она ушла из жизни обласканная уважением, любовью и трепетным вниманием. Добрая «тетя Ляля (так её все называли) вырастила не одно поколение «дворцовых талантов», для которых Дворец пионеров и школьников – этот очаг детского творчества – стал родным домом.

Вечер памяти М.А. Каландаришвили во Дворце молодёжи прошел особенно тепло. Иначе и быть не могло, ведь о таких, как Ляля, можно говорить только высокой прозой.

Гостей собралось много, всем хотелось поделиться воспоминаниями об этом удивительном человеке.

Их голоса сегодня звучат со страниц нашей газеты.

### მადლენა დემურაშვილი

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის უცხო ენების კაბინეტის პედაგოგი**

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი მედეა კალანდარიშვილი.

52 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქალბატონი მედეა საყვარელ საქმეს. იგი იყო „თეთრი სასახლის“ რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის ხელმძღვანელი.

52 წლის განმავლობაში სახეზე წარუშლელი ღიმილით ეგებებოდა მასწავლებლებს და მოსწავლეებს, არ ენანებოდა მათთვის თბილი სიტყვა. ცდილობდა ყოველ მოსწავლეში გაეღვიძებინა შემოქმედებითი ნიჭი. მას არავინ არ მიმართავდა როგორც მედეა ალექსანდროვნას – ის ყველასთვის იყო «тетя Ляля» – ძვირფასი და საყვარელი ადამიანი.

ჩვენ – კაბინეტის თანამშრომლები – ვცდილობდით მიგვებაძა მისთვის და გავმხდარიყავით მასავით ყოველი მოსწავლისათვის აღმზრდელი და მეგობარი. დღეს, სასიამოვნო მოგონებებთან ერთად, ცრემლით ვიხსენებთ ყველასათვის საყვარელ ადამიანს – ქალბატონ მედეას.

### ВИОЛЕТТА ГАСПАРИШВИЛИ

**заслуженный учитель республики Грузия**

Она была красавица, настоящая, без той красивости, которая создаётся путём ухоженной работы над собой с помощью косметических средств, макияжа, взбитых волос или приколотых чужих. Сама природа даровала ей чудные тёмные брови, красивой формы рот, нежную кожу и роскошные волосы цвета спелой ржи, забранные в толстую косу до колен.

«Такая красивая!» – подталкивая друг друга локтями, шептали малыши, останавливались перед доской «Наши отличники», на которой была и её фотография.

В нашу школу, 4-ую женскую, она перешла в 7-ой класс и оставалась с нами до выпуска 1949-го. Училась легко, без натуги, ладила со всеми, хотя в споре не уступала. Чувствуя себя правой, могла остроумным замечанием осадить зарвавшегося, но всегда без зла, без надрыва.

Она была красива душой, открытой всему прекрасному в мире, чистой, незамутнённой житейскими дрязгами.

Высокость в помыслах была для неё характерна. Мы все в те времена не хотели быть Диной Дурбин, а мечтали о славе Зои Космодемьянской или Гули Королёвой. Я думаю, сложись тогдашняя обстановка, она стала бы одной из них.

Говорят, счастлив человек, носящий в себе каплю детскости. Ляля была ребёнком до последних своих дней. Одарённым, талантливым ребёнком, шаловливым, озорным. От её розыгрышей уставали учителя, но долго сердиться не могли.

Она сама была независтлива, никогда ни к кому не ревновала. А к кому ревновать или кому завидовать, если сама хороша! Всегда признавала достоинства других, советовала учиться у лучших. Словом, была такая, какой задумал её бог. Такие, как она, с широкой душой, хороши на любой должности, на какую определит их судьба и время. И слава богу, что она была в моей жизни.

Гуманизм, естественный, как дыхание, высокая духовность, стремление вперед и выше, сострадание людскому несчастью, готовность прийти на каждый призыв SOS – такова была Ляля Каландаришвили.

### ნინელი ჩიხლაძე

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგი**

თუ მართალია გამოთქმა ბედნიერება საყვარელი საქმის კეთებააო, მაშინ მედეა კალანდარიშვილი უბედნიერესი ადამიანი იყო. ნახევარი საუკუნე ემსახურა საქმეს, რომლის გარეშეც სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. სასახლის კედლებს შეჰხაროდა, თითოეული აღზრდილის სახელი და გვარი, ქცევის ყოველი წვრილმანი ახსოვდა, თითოეულ ბწკარს და ფურცელს დაჰკანკალებდა, მრავალგზის დაფურცლულ ათობით უბის წიგნაკს უძვირფასეს საუნჯესავით უფრთხილდებოდა.

ერთი შეხედვით სუსტი და ნაზი აღნაგობის ქალს საოცარი შინაგანი სიძლიერე და მტკიცე ხასიათი ჰქონდა. საოცარი თავდადება და ერთგულებაც შეეძლო და საკუთარი პოზიციისა თუ შეხედულებების განუხრელი დაცვაც. ჰქონდა მყისიერი იმპროვიზაციის უნარი და გამორჩეული იუმორის გრძნობა. უყვარდა მოულოდნელი ეფექტები და არაერთი უსიამოვნო სიტუაცია განუმუხტავს ხუმრობითა და მოსწრებული სიტყვით.

მისი უშრეტი ენერგია, სიცოცხლის წყურვილი და ხალისი ყოველთვის გვაოცებდა. იგი მხოლოდ რუსულ ენას კი არა, ფიქრს და განსჯას, პასუხისმგებლობას და სილამაზის აღქმას, სამშობლოსა და ერთმანეთის სიყვარულს, ერთი სიტყვით, ადამიანად ყოფნის, პიროვნებად ჩამოყალიბების ანბანს ასწავლიდა აღსაზრდელებს.

ამიტომაც მის სახელს დავიწყება არ ემუქრება.

### ЦИАЛА ГУЩЯН

**заслуженный учитель республики Грузия**

Когда хоронили Лялю, не смогла проводить её в последний путь, склонить голову над её прахом, сказать прощальные слова...

С Лялей Каландаришвили я познакомилась в 1975 году, когда привела во Дворец пионеров и школьников своих учеников.

Незаметно служебные отношения перешли в дружбу, верную и надежную. И так 35 лет. С Лялей приятно было общаться. Она поражала цельностью натуры: прекрасно знала всемирную литературу, историю кино и театра, отличалась тонким художественным вкусом, была в курсе культурной жизни страны.

Ляля Каландаришвили особенно нежно любила свой город и прививала это чувство своим кружковцам. Гордилась, что внуки её великолепно разбираются в краеведении и красоты неповторимой Иверии стараются сохранить на полотнах и фотографиях (ныне внучка Мариам – студентка Академии художеств, внук Вахтанг учится на операторском факультете театрального института).

Но больше всего на свете она любила детей. Более полувека проработала с ними. Сколько поколений юных талантов взрастила, скольким помогла определить жизненный путь!

И вообще она была человеком высокого класса. Мудрая Ляля, она успела сказать мне добрые слова, что ценит и дорожит нашими отношениями. А я? Что Я?..

Конечно, могу пойти к ней домой, встретиться с членами её семьи. Есть та улица, тот дом, та крутая винтовая лестница, которую я с трудом преодолевала. Всё есть, как прежде, но всё это вовсе не то, потому что здесь она была, а теперь её нет. Нет совсем. Никогда.

– Друг мой, как быть, как жить? –

И сегодняшняя встреча в кабинете, где она прожила долгую жизнь, – тоже тяжкое испытание, ибо о моей веселой, жизнерадостной, неунывающей, энергичной Ляле надо говорить в прошедшем времени.

Боль утраты смягчает тот факт, что Ляля оставила прекрасное наследство – свою семью, чьё жизненное кредо выражается в трех словах: «Спешите делать добро!»

Идти к людям с распахнутой душой – такое дано не каждому. Семья Каландаришвили-Сулаквелидзе заслуживает божьей благодати.

### თამარ გორდეზიანი

**მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგი**

ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როცა ჩემმა დედამთილმა, უნივერსიტეტის პროფესორმა ნატო ხიდაშელმა, რომელიც პიონერთა სასახლეში შემოქმედებითი კონფერენციის ჟიურის თავმჯდომარე იყო, წამიყვანა არაჩვეულებრივ ადამიანებთან შესახვედრად.

...ყოველი წლის გაზაფხულზე, როცა თბილისი განსაკუთრებულ ელფერს იძენს, პიონერთა სასახლეში სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები იმართებოდა, რომელშიც მთელი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა მონაწილეობდა. ისინი წარმოადგენდნენ ნაშრომებს სხვადასხვა საგანში, კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს, ჩანახატებს...

ამ ღონისძიებას მაშინ პირველად ვესწრებოდი და შთაბეჭდილება, რომელიც მივიღე, დღემდე დაუვიწყარია. მოსწავლეები ლაღად და თავისუფლად, თითქმის პროფესიულ დონეზე წარმოადგენდნენ ნაშრომებს. ვისმენდი და ვერ ვიჯერებდი, რომ ჩვენს წინაშე 14-16 წლის ბავშვები გამოდიოდნენ და არა ზრდასრული, შემოქმედებითი გამოცდილების მქონე ადამიანები.

ამ არაჩვეულებრივი ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგე ქალბატონი მედეა კალანდარიშვილი და მისი პედაგოგები. სასახლე იყო დიდი ოჯახი, რომელიც აერთიანებდა მათ. ერთსულოვნებით, ერთიანი ძალით, უდიდესი სითბოთი და სიყვარულით ამზადებდნენ ყოველ ღონისძიებას, დიდი ერთგულებით ემსახურებოდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას.

გავიდა დრო, თითქმის 40 წელი. დღეს მე ამ კაბინეტის პედაგოგი ვარ, ვცდილობ ვიყო ისეთი, როგორიც იყო ჩემთვის მეტად საპატივცემულო და ღირსეული ადამიანი, პედაგოგი, ქალბატონი მედეა კალანდარიშვილი.



*Медея Александровна Каландаришвили*

### ИРИНА ЖАМКОЧЯН

**заместитель директора 86-ой публичной школы, воспитанница Дворца**

Тетю Лялю помню всегда как спутника жизни. Свою любовь к этому удивительному человеку однажды выразила стихами:

Вы помните, Вы все, конечно, помните
Ту девочку, что стала Вам родной,
И диспуты в уютной вашей комнате,
Блеск детских глаз, дарованный судьбой.

Как многое для нас Вы сотворили,
Не пожалев здоровья, доброты.
Вы души наши, выковав, открыли
Для мира, для людей, для красоты.

Мы находили в Вас родник тепла,
Родник энергии, любви, терпенья,
И в наших жилах Ваша кровь текла,
Хоть мы не Ваши дети от рожденья.

Родной мой человек, Вы нас всегда любили.
Кружковцы не забудут добрых глаз.
Быть может, долг лишь тем мы отплатили,
Что стали педагогами и быть хотим похожими на Вас.

И наши дети ходят к Вам теперь,
Мы повзрослели, Вы – всё та же.
Пусть бог не закрывает Вашу дверь,
Пусть Вам дарует счастья чашу.

### ВАЛЕНТИНА МНАЦАКАНОВА

**учитель русского языка 161-ой публичной школы г. Тбилиси**

Разные чувства обуревают мою душу: радостные и грустные. Грустные, потому что нет нашей доброй Медеи Александровны Каландаришвили, «тети Ляли», как её все называли, считая родным и близким человеком. Радость испытываю от того, что сейчас особенно остро ощущаю её присутствие. Она в нашей памяти, в наших сердцах.

У Ляли был особенный дар – она умела любить. Она любила свою семью, свой город, свою работу, дело, которому служила всю свою жизнь, до последнего вздоха. На советы поберечь себя отшучивалась: «Деревья умирают стоя».

Она любила и ценила своих друзей, коллег, с кем рука об руку несла «вахту верности» Дворцу молодёжи.

Она любила и нас, учителей. Мы многому учились у Медеи Александровны – ответственности, профессионализму, трепетному отношению к детям, умению раскрывать их таланты.

И мы ежегодно собирались представить такие работы, чтобы заслужить похвалу тети Ляли, увидеть в её глазах блеск одобрения. А как ребята работали! Шли во Дворец, как на праздник.

Медея Александровна была счастливым человеком. Её любили, дружбой с ней гордились. Сегодня, когда чтим её память, хочется от всей души поблагодарить устроителей этой встречи и пожелать им пронести через годы добрые воспоминания.

Мравалжамиер вам, долгие лета!

*Страницу подготовила*
***Циала Гущян,***
*заслуженный учитель Грузии*

# საბჭოთა განათლების სისტემა აფხაზეთში

*დასასრული*
*დასაწყისი იხ. №38*

80-იან წლებში ე.წ. „უძრაობის“ პერიოდში საბჭოთა სკოლის საქმიანობაშიც იჩინა თავი სერიოზულად ნეგატიურმა მოვლენებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორი პლენუმის (1984 და 1988 წწ.) დადგენილების თანახმად ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას გამოეყო საბაზო ორგანიზაცია, რომელიც ვალდებული იყო სკოლისათვის ქმედითი მატერიალური დახმარება გაეწია, გამოეყო სასწავლო-საწარმოო საქმიანობისათვის სამუშაო ადგილები.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი ითვალისწინებდა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებას, სწორ პროფესიულ ორიენტაციას და ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მათი წვლილის გაზრდას. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ მოსწავლეები პრაქტიკულად ჩაბმულიყვნენ საწარმოო პროცესში. ამ მიზნით შეიქმნა სასწავლო-საწარმოო მეურნეობები, სადაც მოსწავლეები სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დროის ხარჯზე მუშაობდნენ. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ბარდებოდა სახელმწიფოს შესაბამისი ანაზღაურებით, რაც გამოიყენებოდა მოსწავლეთა სასწავლო-კულტურული ღონისძიებების ჩატარებისათვის ან გამომუშავებული თანხა ერიცხებოდათ მოსწავლეებს.

ამავე პერიოდში დიდი გავრცელება ჰპოვა სკოლებში დიფერენცირებული სწავლების შემოღებამ, მისი ერთ-ერთი ფორმა გახლდათ პროფილური სწავლება, რომელიც ასე იყო განსაზღვრული: ჰუმანიტარული, ფიზიკა-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ხელოვნებისა და შრომითი სწავლების. ასეთი სკოლებისათვის შედგენილი იყო სასწავლო გეგმები და საათობრივი დატვირთვა. 1988-87 სასწავლო წლიდან პროფილური სკოლები და კლასები ჩამოყალიბდა სოხუმის, გაგრის და გალის რაიონის სკოლებში.

ამავე პერიოდში სკოლებში შემოვიდა რელიგიური განათლების შემოღების აუცილებლობა, რაც რელიგიის ისტორიის სწავლებით დაიწყო. საქმიანი ურთიერთობა დამყარდა აფხაზეთის განათლების სამინისტროსა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას შორის, რაც მიტროპოლიტ დავით ჭკადუას და მინისტრის თამარ კოლონიას შეხვედრამ განაპირობა. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა მიტროპოლიტ მეუფე დანიელის მოღვაწეობის დროს.

1978-1987 წლებში აფხაზეთის ყველა რაიონსა და ქალაქში საექსპლუატაციოდ გადაეცა 50-მდე სკოლა 25,5 ათასზე მეტი მოსწავლის ადგილით და 4260 ბავშვის ადგილი სკოლამდელ დაწესებულებებში. მარტო 1988 წელს 7 სკოლა შევიდა ექსპლუატაციაში 2804 მოსწავლის ადგილით, 5 საბავშვო ბაღის შენობა 470 ბავშვის ადგილით.

1988-89 სასწავლო წელს ახალი სკოლები აშენდა გუდაუთის რაიონის სოფელ ზვანდრიფშში, გულრიფშის რაიონის სოფლებში – გარჩესა და ფშაფში, გალის რაიონში – ლეკუხონისა და კოხორის საშუალო სკოლები, გაგრის №4 და სოხუმის №1 საშუალო სკოლები მიშენებით გაფართოვდა. აშენდა ბაღები ქალაქ ოჩამჩირეში, გულრიფშის რაიონში, შენდებოდა ბაღი სოხუმში.

ახალი სასკოლო შენობები აიგო ქ. გაგრის ზონის სოფლებში – კოლხიდაში, ხეივანსა და სალმეში; გუდაუთის რაიონის სოფლებში – ლიხნიში, ააცში, ბლაბურხვაში, კულანურხვაში; ქ. გუდაუთაში, სოხუმის რაიონის სოფელ ზემო ეშერაში, ოჩამჩირის რაიონის სოფლებში: არათუში, ილორში, აჯამფაზარაში, ჭლოუში, ფოქვეშში, გალის რაიონის სოფლებში – ოტობაიაში, რეჩხში, ფიჩორში, წარჩეში; გალის №1, №2 სკოლებს მიშენებითი სამუშაოები ჩაუტარდა.



*აფხაზეთის მასწავლებელთა ყრილობის პრეზიდიუმი. 1987 წლის მარტი*

სკოლების მშენებლობამ და რეკონსტრუქციამ რეალური შესაძლებლობები შექმნა იმისათვის, რომ შემცირებულიყო მეცადინეობათა ცვლიანობა. 313 სკოლიდან ერთ ცვლაში მუშაობდა 238 სკოლა, ორ ცვლაში – 75.

ამ დროისთვის 98 სკოლა მთლიანად და 146 ნაწილობრივ გადაყვანილ იქნა მუშაობის კაბინეტურ სისტემაზე, 81 სკოლაში მოწყობილი იყო ლინგაფონური კაბინეტები. 1987 წელს 268 საშუალო და არასრულ საშუალო სკოლაში ფუნქციონირებდა 229 ფიზიკის, 202 ქიმიის და 177 ბიოლოგიის კაბინეტები შესაბამისი აღჭურვილობით.

სხვადასხვა დროს შეიქმნა და 1988 წლისათვის ფუნქციონირებდა 7 სკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, რომლებშიც სხვადასხვა პროფესიას ეუფლებოდა 6 ათასზე მეტი X-XI კლასელი მოსწავლე, საბაზო საწარმოებში შექმნილი იყო 2600 მოსწავლეზე სამუშაო ადგილი. საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო ბრიგადების რაოდენობა, ბევრ სკოლაში მათ ჰქონდათ თავიანთი საწარმოო გეგმა, მიწის ნაკვეთები და, ფაქტობრივად, ბევრგან გადაიქცნენ კოლმეურნეობებისა და მეურნეობების სტრუქტურულ მინი-ქვეგანაყოფებად. 20 ათასამდე მოსწავლე, ზაფხულის არდადეგებზე მუშაობდა შრომითი გაერთიანებების შემადგენლობაში. 1986-87 სასწავლო წელს IX-X კლასებში სწავლობდა 12042 მოსწავლე, აქედან უშუალოდ სკოლაში გადიოდა გაღრმავებულ შრომით სწავლებას 5314 მოსწავლე, სკოლათაშორის სასწავლო-საწარმოო კომბინატებში – 4738 მოსწავლე, სასწავლო საამქროებში – 1590 მოსწავლე.

პარალელურად ვითარდებოდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაც. 1990 წლისათვის აფხაზეთში იყო ათი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 4000-ზე მეტი მოსწავლე 49 სპეციალობის მიხედვით. 1987-88 სასწავლო წელს პროფტექსასწავლებლებში სწავლა გააგრძელა არასრული საშუალო სკოლადამთავრებულთა 23,3%-მა.

ამ პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფეხს იკიდებს სასწავლო პროცესში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის დანერგვა. ყველა მეცხრე კლასში შემოვიდა კურსი „ინფორმატიკა და გამომთვლელი ტექნიკის საფუძვლები“. შეფი ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა და მოეწყო გამომთვლელი ტექნიკისა და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების 10 კლასი.

საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადებაში დიდი წვლილი შეჰქონდათ: სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმს, გალის რაიონის აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმსა და სოხუმის სამედიცინო სასწავლებელს.

ამ პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა აყენებდა აუცილებლობას, რომ არსებითად გაუმჯობესებულიყო პედაგოგიური კადრების პროფესიული დონე. 1978-1987 წლებში აფხაზეთის სკოლებში გაიგზავნა 1200-მდე მასწავლებელი, რომელთა 35 პროცენტზე მეტი სოფლის სკოლებში მუშაობდა. ყოველწლიურად 2 ათასი მასწავლებელი გადიოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, ძირითადად, აფხაზეთის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე. მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებას დიდად შეუწყო ხელი მასწავლებელთა ატესტაციამ, რაც რამდენიმე ეტაპად წარმატებით ჩატარდა.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე აფხაზეთის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბება, რაც საკავშირო მთავრობის 1979 წლის 5 თებერვლის დადგენილების თანახმად განხორციელდა.

1988 წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის განყოფილებაზე მიღებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობამ 435 კაცი შეადგინა, 1978-79 სასწავლო წელს მიღებულ იქნა 290 კაცი. ამ დროს უნივერსიტეტში სწავლობდა 4224 სტუდენტი.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა, რომელშიც 4 ათასამდე სტუდენტი სწავლობდა. ინსტიტუტს ჰქონდა კარგი მატერიალურ-ტექნიკური სასწავლო ბაზა. ინსტიტუტში სერიოზულ მეცნიერულ კვლევებს აწარმოებდნენ. მათ მიერ შემუშავდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების ტექნოლოგია. წარმოებაში დაინერგა ლიმონის ყინვაგამძლე ჯიში „დიოსკურია“, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო სამანქანო აგრეგატების ავტომატური სისტემები და სხვა სქემები. ავტონომიური რესპუბლიკის 20 სამეცნიერო დაწესებულებასა და ორ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობდა 1500-ზე მეტი მეცნიერი.

90-იან წლებში გაიხსნა ხუთი კომერციული უმაღლესი სასწავლებელი.

აფხაზური სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნის მიზნით აფხაზეთის განათლების სამინისტროში შეიქმნა სახელმძღვანელოების განყოფილება, რომელიც სამეცნიერო პედაგოგიურ ჟურნალ „აშკოლი აფსთააზარეი“ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის აფხაზეთის განყოფილებასთან ერთად გეგმაზომიერ მუშაობას ეწეოდნენ სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

გამომცემლობა „ალაშარამ“ აფხაზური სკოლებისათვის 1989 წელს 16 დასახელების სახელმძღვანელო და დამხმარე სასწავლო მასალა გამოსცა. ამ სასწავლო წელს პირველად იქნა შემოღებული ახალი საგანი „აფხაზეთის ისტორია“ (ავტორები – ზ. ვ. ანჩაბაძე, გ. ა. ძიძარია, ა. ე. კუპრავა, რედაქტორი – ა. აფაქიძე). ამავე პერიოდში გამოვიდა „აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი“. აფხაზური საბავშვო ბაღებისათვის გამოიცა ქრესტომათია „ამრათილა“ („მზის ქვეყანა“), „თამაშები საბავშვო ბაღში“ და სხვ.

1987 წლის 18 მარტს ჩატარდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მასწავლებელთა მეხუთე ყრილობა. ყრილობაზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა განათლების მინისტრი თამარ კოლონია. თანამოხსენებით პროფტექგანათლების საკითხზე, სამმართველოს უფროსი იოსებ ფირცხალავა, ზოგადი საგანმანათლებლო სკოლების წესდების შესახებ, განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ გასვიანი. ყრილობამ შეაჯამა სასკოლო ცხოვრებაში გარდაქმნების – ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების შედეგები, ბუნებრივია, ყურადღება გამახვილდა არსებულ ნაკლოვანებებზე, მათი დაძლევის გზებზე.

ამ პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარდა ქართული სკოლების ქსელის მოწესრიგებისა და ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ფართოდ გავრცელდა ცნება ერთიანი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ერების შერწყმის, ერთიანი საბჭოთა ენის (რა თქმა უნდა, ასეთი ენა რუსული იქნებოდა) შექმნის შესახებ. ამ საკითხებს ეძღვნებოდა სამეცნიერო კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, საჯარო ლექციები. ასეთმა იდეოლოგიურმა წნეხმა თავისი შედეგი გამოიღო: გაფართოვდა რუსული სკოლების ქსელი, მათში კი მოსწავლეთა რიცხვი დაწესებულ ზღვარს აჭარბებდა, არ შეესაბამებოდა რუსი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობას.

რუსული განათლების გავრცელების მიზნით აფხაზურ სკოლებს ნაციონალური სკოლების სტატუსი მიენიჭათ, კურსდამთავრებულები კი რუსეთის ფედერაციაში, ასევე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების ჩაბარებისას დიდი შეღავათით სარგებლობდნენ. ამის გამო, ხშირ შემთხვევაში, რუსული სკოლების დამამთავრებელი კლასებიდან მშობლებს ბავშვები აფხაზურ სკოლებში გადაჰყავდათ, რომ ამ შეღავათით ესარგებლათ. გარდა ამისა, ფართო გავრცელება ჰპოვა ამ კატეგორიის მოსწავლეებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში ლიმიტებით, ფაქტობრივად, უგამოცდოდ ჩარიცხვამ.

რუსულად განათლების მიღებას აფხაზეთში ისიც უწყობდა ხელს, რომ საბჭოთა პერიოდში რუსულ ენაზე მუშაობდა რეგიონის ყველა სახელმწიფო დაწესებულება, ამ ენაზე იმართებოდა ოფიციალური სხდომები, თათბირები, სხვადასხვა ღონისძიებები. რუსულ ენაზე იწერებოდა და ვრცელდებოდა რეგიონული მასშტაბის ყველა ოფიციალური დაწესებულების დოკუმენტები – დადგენილებები, ბრძანებები, ოქმები და ა.შ. (გამონაკლისი გალის რაიონი იყო). ასე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროშიც და მას დაქვემდებარებულ ადგილობრივ ორგანოებში სოხუმის, გალისა და გულრიფშის რაიონების განათლების განყოფილებების გარდა.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტსაც, რომ აფხაზეთში მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში განათლების დარგის განვითარებასა და სრულყოფაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი რაიონის რგოლის ხელმძღვანელ მუშაკებს: გაგრაში – ბიჭიკო ჩაკაბერიას, გუდაუთაში – ივანე შამბას, სოხუმში – ლეონიდ უჩანეიშვილს, შალვა ფოცხვერიას, მამანტი გალიშავას, სოხუმის რაიონში მიხეილ ლეთოდიანს, გულრიფშის რაიონში – ნიკოლოზ სართანიას, ვალერი ვეკუას, მერი გაფრინდაშვილს, ტყვარჩელში – ანატოლი ჩხეტიას, ალექსი ინჯოლავას, ოჩამჩირის რაიონში – სვეტლანა ფილიას, ნელი ფაჩულიას, გალის რაიონში ალეკო ჩიკვატიას, ლუიზა შენგელიას, მერი გეგეჭკორსა და შოთა გვილიას.

ერთობლივი ძალისხმევით, ურთიერთგაგებით ბევრჯერ შევძელით სასწავლო დაწესებულებებში იმ არაჯანსაღი ვითარების დაძლევა, რაც აფხაზეთში მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შეიქმნა, რამაც შესაძლებელი გახადა აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ერთიანობა შენარჩუნებულიყო. აფხაზეთის განათლების სამინისტროს, სასწავლო დაწესებულებებს მუდმივი მხარდაჭერა და დახმარება ჰქონდა საქართველოს განათლების სამინისტროდან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

ყოველივე ამას აფხაზეთის განათლების მინისტრი ალექსი ჯონუა ასეთ შეფასებას აძლევს – *„აფხაზი ხალხი მუდამ სარგებლობდა და ახლაც დიდად სარგებლობს მოძმე ქართველი ხალხის მზრუნველობითა და უანგარო დახმარებით“.*

ასეთია ძალიან მოკლედ ის გზა, რაც განათლების სისტემამ განვლო აფხაზეთში, საბჭოთა პერიოდში. ის ჩამოყალიბდა განათლების ერთიან სტაბილურ სისტემად და ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი გახდა. ყველა თაობის განათლების დარგის მუშაკი – ხელმძღვანელი თუ რიგითი თანამშრომელი იბრძოდა იმისათვის, რათა სწავლა-აღზრდის საქმე სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიურ საფუძველზე აგებულიყო და ქვეყნისათვის აღეზარდა განათლებული თაობა, რის შედეგად აფხაზეთი განათლებისა და კულტურის დარგში ერთ-ერთი წარმატებული რეგიონი გახდა.

**ვახტანგ გასვიანი**
*აფხაზეთის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში*

## მეთოდიკა

# ბიოლოგიის გაკვეთილი. XII კლასი

## გაკვეთილის თემა: ცოცხალი სისტემების ორგანიზაციის დონეები

**გაკვეთილის მიზანი**: მოსწავლემ შეძლოს მოცემულ მაგალითზე ორგანიზაციული დონის ამოცნობა და განსაზღვრა, თანმიმდევრულად დაალაგოს ორგანიზაციული დონეები.

**გამოყენებული მასალა**: თაბახის ფურცლები, დავალების ფურცლები, ტესტი, ილუსტრაცია სავანას ეკოსისტემის გამოსახულებით, მომზადებული სქემა: „ცოცხალი სისტემების ორგანიზაციული დონეები".

**გაკვეთილის დრო**: 45 წუთი.

**გაკვეთილის მსვლელობა**:

წინა გაკვეთილებზე საუბარი გვქონდა სასიცოცხლო პროცესების შესახებ. ამიტომ, მოსწავლეების ცოდნას აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შემდეგი ტესტით შევამოწმებ.

**შემაჯამებელი ტესტი**

1. **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

ა) მცენარეები ............. ორგანიზმებს მიეკუთვნებიან, რადგანაც ისინი თვითონ ქმნიან ორგანულ ნივთიერებებს.

ბ) საკვები ორგანიზმს საშენი მასალით და ............. უზრუნველყოფს.

2. **შეარჩიეთ სწორი პასუხი**

მწერები სუნთქავენ:
ა) ლაყუჩებით;
ბ) ფილტვებით;
გ) ტრაქეებით;
დ) საჰაერო პარკებით.

3. **შეარჩიეთ სწორი პასუხი**

მცენარეები სუნთქავენ:
ა) ნახშირორჟანგით;
ბ) ჟანგბადით;
გ) აზოტით;
დ) მეთანით.

4. **შეარჩიეთ სწორი პასუხი**

ამებას მოძრაობის საშუალებაა:
ა) წამწამები;
ბ) კიდურები;
გ) ცრუფეხები;
დ) შოლტები.

5. **შეარჩიეთ სწორი პასუხი**

თირკმელების საშუალებით ორგანიზმი თავისუფლდება:
ა) გადაუმუშავებელი ნარჩენებისგან;
ბ) აზოტშემცველი ნაერთებისგან;
გ) ნახშირორჟანგისგან;
დ) მძიმე მეტალებისგან.

6. **გაღიზიანებადობა ახასიათებს:**
ა) მხოლოდ მცენარეებს;
ბ) მხოლოდ მწერებს;
გ) მხოლოდ ძუძუმწოვრებს;
დ) ყველა ცოცხალ ორგანიზმს.

7. **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

გაღიზიანებადობა ესაა ორგანიზმის პასუხი .............

8. **უსქესო გამრავლების ხერხს არ მიეკუთვნება:**
ა) კლონირება;
ბ) პართენოგენეზი;
გ) ფრაგმენტაცია;
დ) სპორებით გამრავლება.

9. **მწერების სრულ მეტამორფოზს ასახავს შემდეგი თანმიმდევრობა:**
ა) კვერცხი, ჭუპრი, მატლი, ზრდასრული;
ბ) კვერცხი, მატლი, ჭუპრი, ზრდასრული;
გ) კვერცხი, მატლი, ზრდასრული;
დ) კვერცხი, ჭუპრი, ზრდასრული.

ტესტის შეფასების მაქსიმალური ქულა – 10.

(20 წთ.)

ტესტის შესრულების შემდეგ კლასს მივმართავ, რომ დღევანდელი საუბარი ბიოლოგიური ორგანიზაციის იერარქიულ სისტემებს შეეხება.

მოსწავლეებს შევახსენებ, რომ იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე ატომია მოთავსებული. ატომურ დონეზე ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის განსხვავება არ არსებობს. ატომები მოლეკულებს ქმნიან. ორგანული ნივთიერებების მოლეკულები მხოლოდ ცოცხალი ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ორგანული ნივთიერებების მოლეკულები უჯრედების აგებაში მონაწილეობენ. მსგავსი აგებულების და ფუნქციის მქონე უჯრედები ქსოვილებს აშენებენ, რომლებითაც ორგანოებია აგებული. თავის მხრივ, ერთი ფუნქციის შესასრულებლად გაერთიანებული ორგანოები ორგანოთა სისტემებს ქმნიან. ორგანოთა სისტემები შეთანხმებულად მუშაობს, რის შედეგადაც ორგანიზმი ფუნქციონირებს როგორც ერთი მთლიანი სისტემა. იერარქიული სისტემა ორგანიზმული დონით არ მთავრდება. მორფოლოგიურად და ფიზიოლოგიურად მსგავსი ორგანიზმები, რომლებიც ერთმანეთს თავისუფლად ეჯვარებიან, პოპულაციას ქმნიან. სხვადასხვა ორგანიზმთა პოპულაციები ბიოცენოზში ერთიანდება. ცოცხალ ორგანიზმებზე მუდმივ ზემოქმედებას ახდენს გარემოს აბიოტური ფაქტორები, ამიტომ, იერარქიის შემდეგი საფეხური ეკოსისტემაა, ხოლო დედამიწის ყველა ეკოსისტემა ბიოსფეროს ქმნის (საუბრის პარალელურად დაფაზე ჩამოვწერ ორგანიზაციის დონეებს: ატომი – მოლეკულა – უჯრედი – ქსოვილი – ორგანო – ორგანოთა სისტემა – ორგანიზმი – პოპულაცია – ბიოცენოზი – ეკოსისტემა – ბიოსფერო).

(7 წთ.)

საუბრის შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფებად, დავურიგებ წინასწარმომზადებულ ბარათებს დავალებებით:

I **ჯგუფი** – თანმიმდევრულად დაალაგეთ ორგანიზაციული დონეები: თევზი, ნახშირბადის ატომი, ნერვული უჯრედი, თავის ტვინი, თევზის პოპულაცია, დნმ-ის მოლეკულა, ნერვული ქსოვილი, მარჯნის რიფების ეკოსისტემა, ნერვული სისტემა, მარჯნის რიფების თანასაზოგადოება.

II **ჯგუფი** – თანმიმდევრულად დაალაგეთ ორგანიზაციული დონეები: ჟანგბადის ატომი, ტყის თანასაზოგადოება, ცილის მოლეკულა, ტყის ეკოსისტემა, გული, ირემი, კუნთოვანი ქსოვილი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, კუნთოვანი უჯრედი, ირმების პოპულაცია.

III **ჯგუფი** – თანმიმდევრულად დაალაგეთ ორგანიზაციული დონეები: ტროპიკული ტყის ეკოსისტემა, წყალბადის ატომი, მაიმუნი, კუჭი, მაიმუნთა პოპულაცია, ეპითელური უჯრედი, საჭმლის მომნელებელი სისტემა, ტროპიკული ტყის თანასაზოგადოება, ცხიმის მოლეკულა, ეპითელური ქსოვილი.

(6 წთ.)

**პრეზენტაციები** (8 წთ.)

გაკვეთილის შეჯამების მიზნით მოსწავლეებს შევთავაზებ შემდეგ აქტივობას: დაფაზე დავკიდებ ილუსტრაციას სავანას ეკოსისტემის გამოსახულებით, ასევე სქემას:

**ბიოლოგიური სისტემების ორგანიზაციის დონეები**

ატომი
↓
მოლეკულა
↓
უჯრედი
↓
ქსოვილი
↓
ორგანო
↓
ორგანოთა სისტემა
↓
ორგანიზმი
↓
პოპულაცია
↓
ბიოცენოზი
↓
ეკოსისტემა

მოსწავლეებმა ილუსტრაციის გამოყენებით უნდა მოიყვანონ სავანას იერარქიული სისტემის დონეების სხვადასხვა მაგალითი.

(4 წთ.)

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს მივცემ საშინაო დავალებას.

***ნათა ბიჭიკაშვილი***
*ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისი,*
*ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი*

## აკაკი წერეთელი – 170

* * *



სოფელ პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო აკაკი წერეთლის 170-ე წლისადმი მიძღვნილ კვირეულში მონაწილეობა. კვირეულის მანძილზე დაგეგმილმა აქტივობებმა მათი ცოდნა სათანადოდ შეავსო. კვირეული გაიხსნა ექსკურსიით „აკაკის კვალდაკვალ". მოსწავლეებმა აკაკი წერეთლის კვალდაკვალ თბილისის ქუჩებში (ოპერის სკვერი; 1-ლი საჯარო სკოლა; კინოს, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი) მოაგროვეს მგოსნის შესახებ მასალები. მამა დავითის მთაზე პატივი მიაგეს აკაკის საფლავს, ჩატარდა გაკვეთილი (ხელმძღვანელები: **ნანა ფაფიაშვილი, ია მეხრაძე**).

კვირეულის მეორე დღეს მხატვრული ფილმით „აკაკის აკვანი", მოსწავლეთა თვალწინ გაცოცხლდა აკაკის „ჩემი თავგადასავალი" და პოემა „გამზრდელი". ფილმის განხილვისას მოსწავლეებმა საკუთარი მოსაზრებები თავისუფლად გამოხატეს (ხელმძღვანელი – **თამარ ბურდული**).

ბავშვების მიერ გვირგვინით შემკობილ მგოსნის პორტრეტთან, კვირეულის მესამე დღეს, გაიმართა I კლასის მოსწავლეთა პოეზიის დღე „ჭრელი პეპელა დაათრო". ღონისძიება დასრულდა II-VII კლასების მოსწავლეთა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით „ჩემი ხატია სამშობლო" (ხელმძღვანელები: **ნინო ონაშვილი, ლია ოთარაშვილი**).

კვირეულის მეოთხე დღეს საგაკვეთილო პროცესი დაეთმო „ბაში-აჩუკიდან" ბახტრიონის თემაზე შექმნილი ნახატების გამოფენას. დღის მეორე ნახევარში გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში მოეწყო ლიცეუმის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივი ღონისძიება – „ვკითხულობთ აკაკის". საჯარო კითხვას შეუერთდა სოფლის ახალგაზრდობა (ხელმძღვანელები: **ქეთევან ცხვარიაშვილი, ნანა ფაფიაშვილი**).

სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება 29 ოქტომბერი. ბავშვებმა 1913 წლის უნიკალური ჩანაწერები და მგოსნის მიერ წარმოთქმული ლექსები მოისმინეს. კვირეული დასრულდა ვასილ ამაშუკელის ფილმის „აკაკის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში" ორიგინალის ელექტრონული ვერსიის ჩვენებით (ხელმძღვანელები: **თამარ ბურდული, ნანა ფაფიაშვილი**).

***ნანა ფაფიაშვილი***
*პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

* * *

ქართველი ხალხი დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავს ზეიმობს. ჩვენს სკოლაში ჩატარდა კვირეული, რომლის ერთ-ერთი ნაწილი იყო ექსკურსია საჩხერესა და სავანეში. ეს დღე დაუვიწყარია თითოეული ჩვენგანისთვის.

ამ ოქროსფრად აყვავებულ კუთხეში, შავი ქვის მაღაროების იქით, დაიწყო ლამაზი სანახაობა საჩხერისა, ანუ საწერეთლოსი. და აი, აქ, დიდსა და დაბურულ ბაღში, რომელიც ტყიანი ხეობის სათავეში მდებარეობს, თეთრი სახლი დგას, სადაც დაიბადა პოეტი. სახლი აშენებულია აკაკის მამის, როსტომ წერეთლის მიერ. ძალიან დიდი ხნისაა, მაგრამ დღესაც უდრეკად დგას თავის ულამაზეს ეზოში, რომელიც ჩიხურას გადაჰყურებს. ვნახეთ აკაკის სამუშაო და საწოლი ოთახი, სადაც გაიზარდა, უკვდავი შედევრები შექმნა და სიცოცხლის ბოლო წუთები გაატარა დიდმა მგოსანმა. მაგიდაზე იდო ბიბლია, პოეტის კალამი. თვალწინ წარმომიდგა, თუ როგორ ქმნიდა მოხუცი არაჩვეულებრივ შედევრებს, კარადაში იყო მისი ფეხსაცმელები და ქურთუკი. აქვე იდგა საწოლი.

აკაკის ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობა აქ არ დასრულებულა. წინ სავანეა, რომელიც „სათვალთვალოდ" და „ჰაერის სიკეთითაც", როგორც მგოსანი იტყოდა, საუცხოო რამ არის. აქ გაუძიძავებიათ პატარა აკაკი. უძველესი სახლ-ქოხი, ვეებერთელა ეზო, სადაც მრავალი წლის წინ აკაკი ერთობოდა თავის მეგობარ გლეხის შვილებთან ერთად. სახლს გადმოჰყურებს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც მსახურობდა მანო სადუნაშვილი, აკაკის ძიძა. აქ ლოცულობდა პატარა აკაკი და ღმერთს ავედრებდა თავის სამშობლოს.

ეს დღე შთაბეჭდილებებით სავსე და ბედნიერი დღე იყო თითოეული ჩვენგანისთვის. დავემშვიდობეთ აკაკის სავანეს. აკაკი „ცა-ფირუზ" საქართველოს გაგრძელებაა, მისი ღვიძლი შვილია. აკაკი სარკეა ჩვენი ცხოვრებისა და ბუნებისა. მე ვამაყობ მისით და ბედნიერი ვარ, რომ ვარ ქართველი.

***ნინო ჩიტია***
*აბაშის რაიონის პირველი მაისის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე*

მშობელთა კრება

# უკეთ გავიცნოთ პატარები



თუ თავისუფალი დრო გაქვთ, თქვენს პატარას კი ხატვის სურვილი გაუჩნდა, ჩაატარეთ ფსიქოლოგიური ტესტი „არარსებული ცხოველი“. ძალიან ბევრ საინტერესო რამეს შეიტყობთ!

არარსებული ცხოველის დახატვის დავალება ბავშვისგან აღიქმება, როგორც მისი წარმოსახვის შემოწმება. ამიტომ, ხატვისას, ის სრულად გამოავლენს თავს.

ისეთი დრო შეარჩიეთ, რომ პატარა კარგ ხასიათზე იყოს და შესთავაზეთ, იფანტაზიოროს – დახატოს ისეთი ცხოველი, რომლის მსგავსი რეალურ სამყაროში არ არსებობს არც ხმელეთზე, არც ცაში და არც წყალში. აუხსენით, რომ ის შეიძლება ნებისმიერი სახის იყოს – თვალების, ფეხების, კუდების, ფრთების ნებისმიერი რაოდენობით. ნუ შეზღუდავთ დროით! უკეთესი იქნება, თუ ფერადი ფანქრებით დაახატინებთ სტანდარტულ თეთრ ფურცელზე, რაც გააადვილებს ნახატის ინტერპრეტირებას, პროპორციების სწორად შეფასებასა და ფანქრის დაჭერის სიძლიერის განსაზღვრას. როდესაც „ნორჩი მხატვარი“ ხატვას დაასრულებს, სთხოვეთ, ცხოველს სახელი დაარქვას. ჩაიწერეთ ან, თუ ბავშვმა წერა იცის, თავად დაწეროს.

ფსიქოლოგიური სურათი რომ უფრო სრული იყოს, გაესაუბრეთ ამ ცხოველის ირგვლივ. ეცადეთ, დაიმახსოვროთ პასუხები ან ჩაიწეროთ, ეს თქვენთვის დამატებითი ინფორმაციის წყარო იქნება.

შეკითხვები, დაახლოებით, ამ ტიპის უნდა იყოს:

– სად ცხოვრობს ცხოველი – ტყეში, მთაში, უდაბნოში, კოსმოსში თუ სხვაგან? აქვს თუ არა სახლი?

– როგორი ხასიათი აქვს? როგორ იქცევა, როცა გახარებულია ან როცა ბრაზობს?

– ახლა როგორ ხასიათზეა?

– ჰყავს თუ არა ოჯახი, მშობლები, შვილები?

– თუ ჰყავს მეგობრები? მტრები?

– საფრთხის შემთხვევაში, როგორ იცავს თავს?

როგორ მოვახდინოთ ნახატის ინტერპრეტირება?

ცხოველის ადგილმდებარეობა

ფურცელი, ჰორიზონტალურად, ორ ნაწილად დაყავით თვალით. რომელ ნაწილშია მოთავსებული ნახატი – ზედა თუ ქვედა?

– თუ ცხოველი ფურცლის ზედა ნაწილში ხატია, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ზედმეტად თავდაჯერებულია, ხშირად გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს. ამ შემთხვევაში, მიაჩვიეთ საქმის ბოლომდე მიყვანას, ასევე, დაპირების შესრულებას.

– თუ ნახატი ქვედა ნაწილშია, თან კუთხეში და პატარა ზომისაა, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ბავშვს თვითდაჯერებულობა აკლია, საკუთარ შესაძლებლობებსაც ნაკლებად აფასებს. ეცადეთ, გამოუმუშავოთ საკუთარი ძალების რწმენა – ნაკლებად აკრიტიკეთ, განსაკუთრებით უცხოთა თანდასწრებით, შეაქეთ ხოლმე, თუნდაც უმნიშვნელო წარმატებისთვის.

– თუ ნახატი შუაშია მოთავსებული, ბავშვის თვითშეფასება სინამდვილეს შეესაბამება, არც გადამეტებულია და არც ნაკლები.



## სხეულის მდებარეობა

კიდურები

მიაქციეთ ყურადღება, რამდენად მყარად დგას ცხოველი მიწაზე. სხეულის საყრდენი ნაწილი (ფეხები ან კუდი) უნდა სათანადო სისქის იყოს, რომ სხეულის წონასწორობა არ დაირღვეს. თუ ასეა, ბავშვი რეალურად უყურებს სამყაროს, ღრუბლებში არ დაფრინავს, გააზრებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს. ნახატში დამატებითი დეტალების არსებობა რაციონალურ აზროვნებაზე მიგვითითებს – ფართოდ გაწეული თითები, მასიური ტერფები, ფეხქვეშ გაწოლილი მიწის ზოლი.

თუ წვრილ ფეხებზე უპროპორციოდ დიდი ტანი დგას, ბავშვი მეოცნებეა, საკუთარი ფანტაზიების სამყაროში ცხოვრობს. დააკვირდით, რამდენად მყარად არის მიერთებული საყრდენი კიდურები სხეულს. თუ გულდასმითაა მიხატული, ბავშვს საკუთარი მოქმედებისა და სიტყვების გაკონტროლების უნარი აქვს. თუ ხელები, ფეხები, ფრთები ან კუდი სხეულისგან დაშორებულია, ბავშვი იმპულსურია, გაუაზრებლად მოქმედებს. შეუძლია, ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც შემდგომში ინანებს.

თავი

– მნიშვნელოვანია თავის მდებარეობა. მარჯვნივ მიბრუნებული თავი ბავშვის მიზანსწრაფულ და აქტიურ ბუნებაზე მიუთითებს. ის რეალურ ამოცანებს ისახავს და, თითქმის ყოველთვის, ასრულებს, ყოველ შემთხვევაში, აქტიურად ცდილობს, მიაღწიოს მიზანს.

თუ თავი მარცხნივ არის მიბრუნებული, ბავშვი ყოველთვის ვერ ახერხებს იმის შესრულებას, რასაც სთხოვენ ან თავად დაისახა მიზნად. ხშირად მიმართავს უფროსებს ან თანატოლებს მხარდაჭერისთვის. ასეთი ბავშვი აუცილებლად უნდა მიაჩვიოთ დამოუკიდებლობას. რაც შეიძლება ხშირად, მიანდეთ არჩევანის გაკეთება, თუნდაც წვრილმან საკითხებში, ვთქვათ, რომელი კერძი მიირთვას. წაახალისეთ მისი აქტივობა.

– დააკვირდით, რამდენად პროპორციულია თავი და ტანი. ამ შემთხვევაში,თ ავი ბავშვის გონებრივი შესაძლებლობების, ინტელექტის მაჩვენებელია, ტანი კი – ფიზიკური თვისებების.

თუ თავი და ტანი ერთმანეთის პროპორციულია, როგორც საკუთარ თავს, ასევე გარშემომყოფებსაც ბავშვი აღიქვამს ჭკვიან და ფიზიკურად კარგად მომზადებულად. თუ ტანის ზომას აღემატება, ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა, სხვებშიც და საკუთარ თავშიც, განათლებასა და წიგნიერებას აფასებს. მას ისეთი ადამიანები აინტერესებს, ვისაც საინტერესოდ შეუძლია მოუთხროს რაიმე სიახლის შესახებ. თუ ცხოველს განვითარებული აქვს მუსკულატურა, თავი კი პატარა აქვს, „ნორჩი მხატვარი“, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ მომზადებას. შესაძლოა, ასეთი ბავშვის იდეალი „ბოევიკის“ გმირია და სურს, მას დაემსგავსოს.

მნიშვნელოვანია, ბავშვი ჰარმონიულად განვითარდეს. აუცილებლად დაუთმეთ დრო კითხვას, წერას თუ ხატვას, იმავდროულად, არ დაივიწყოთ ფიზიკური მომზადება. სპორტული სექცია ან საცურაო აუზი არა თუ ავნებს ბავშვს, პირიქით, მეცადინეობაშიც კი დაეხმარება.

დეტალები

თუ ცხოველს არ უხატია თვალები, ცხვირი ან ყურები, ეს იმაზე მეტყველებს, რომ „პატარა ადამიანისთვის“ არ არის მნიშვნელოვანი მხედველობით, სმენითა და ყნოსვით მიღებული ინფორმაცია. მაგალითად, ყურების არარსებობით ბავშვი, თითქოს, გვეუბნება: „არაფრის გაგონება არ მინდა!“ როგორც ჩანს, ბავშვი ამგვარად გამოხატავს თავდაცვით რეაქციას კრიტიკასა და შენიშვნებზე. დაფიქრდით, როგორ შეცვალოთ ვითარება. ალბათ, მრავალჯერ გამეორებული შენიშვნების (რომლებზეც ბავშვს აღარც აქვს რეაქცია) ნაცვლად, სხვა საშუალება უნდა მოიძებნოს. მაგალითად, იმოქმედეთ მხედველობითი არხების გამოყენებით. ხატოვნად დაანახეთ, თუ რა შედეგის მიღწევას ითხოვთ მისგან, იქნებ ამით დააინტერესოთ.

– პირის არარსებობა ან ძალიან პატარა პირი იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვს არ სურს, სიტყვების დახმარებით, გამოხატოს საკუთარი გრძნობები და აზრები. შეიძლება, ეშინია, რომ სწორად ვერ გაუგებენ.

– მსხვილი, ფართოდ გახელილი თვალები შიშის ნიშანია. თუ ცხოველს წამწამები უხატია, მით უმეტეს გრძელი და ხშირი, იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვს შეუძლია დემონსტრაციულად მოქცევა, შეიძლება ისტერიკაც კი გამართოს. მსგავსი საქციელის მიზეზი იმაშია, რომ პატარა გარშემომყოფთა მხარდაჭერას, ყურადღებასა და ინტერესს საჭიროებს.

– ტუჩის მკვეთრი მოხაზულობა ემოციურობის, ზედმეტი მგრძნობელობის ნიშანია. ასეთი ბავშვი განსაკუთრებულ ალერსიან მოპყრობას ითხოვს. სურს, რომ თავზე ხელი გადაუსვან, აკოცონ, მოეფერონ.

– ფართოდ გაღებული პირი, განსაკუთრებით კბილებიც თუ ხატია, იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვი აგრესიას ყვირილით, ტირილით და უხეში სიტყვებით გამოხატავს.



– თუ ცხოველს კუდი აქვს, ეს, უთუოდ, ბავშვის ოპტიმისტურ ბუნებაზე მიგვითითებს. ზევით აპრეხილი კუდი თავდაჯერებულობის ნიშანია. ქვევით – საკუთარი თავით უკმაყოფილებისა და დათრგუნულობის.

– ფრთების არსებობა მრავალმხრივი ინტერესებისა და თვითდამკვიდრების სურვილის მაჩვენებელია. ასეთ ბავშვს ყველაფერი ერთბაშად სურს და ერთდროულად იწყებს რამდენიმე საქმის კეთებას. შესთავაზეთ ახალი, საინტერესო განმავითარებელი თამაშები.

– მცირე დეტალები (სათვალე, ბაფთა, თმის სამაგრი, ორიგინალური ვარცხნილობა, ბუმბულები...) იმის ნიშანია, რომ ბავშვი ბევრს ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე, სურს, მიმზიდველად გამოიყურებოდეს. თუ ასეთი დეტალები ზედმეტად ბევრია, გაესაუბრეთ ბავშვს და ეცადეთ, აუხსნათ, რა არის კარგი გემოვნება. უთხარით, რომ ბუნებრივ სილამაზეს ცოტა სამკაულები უკეთ გაუსვამს ხაზს, ვიდრე „ნაძვის ხესავით“ მოკაზმვა.

– ცხოველის სხეულზე არსებული სხვადასხვა დამცავი ელემენტები (ეკლები, ფარფლები, წვეტიანი გამონაზარდები, კუზი, სხვადასხვა სახის იარაღი...) ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქოლოგიის უკეთ გაცნობისათვის. რაც მეტია მსგავსი დეტალი, ბავშვიც უფრო მეტად დაუცველად გრძნობს თავს. ცხოველი შეიძლება ბოროტი იყოს (რობოტი-მკვლელი, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი, ვამპირი...). ფარული ან აშკარა აგრესიის მსგავსი ნიშნები ხშირია სოციალურად დაუცველი ბავშვების ნახატებში.

დააკვირდით, საით არის მიმართული აგრესიული დეტალები – ზევით თუ ქვევით. ზევით მიმართული გვიჩვენებს, რომ ბავშვის ფსიქოლოგიური დაძაბულობის მიზეზს გავლენიანი ადამიანები (სოციალური მდგომარეობით მაღლა მდგომნი – აღმზრდელები, მასწავლებლები ან ასაკით უფროსები – მშობლები, და-ძმა) წარმოადგენენ, ისინი, ვისაც შეუძლია, ჩაახშოს, აკრძალოს, შეზღუდოს. მიმართულება ქვევით მიგვანიშნებს, რომ პატარას თანატოლთა ან უმცროსი ასაკის ბავშვების დაცინვის შიში აქვს.

თუ გსურთ, შეიტყოთ, რა აწუხებს თქვენს შვილს, კარგად დააკვირდით მონახაზებს (რა ძალითაა შესრულებული) და გულდასმით დახატულ დეტალებს. ნახატის გარკვეული ნაწილის განსაკუთრებულად მკვეთრი ხაზებით (მაგრად დაჭერილი ფანქრით) შესრულება ამ სფეროებთან დაკავშირებულ გამახვილებულ საფრთხეზე მეტყველებს. მაგალითად, თუ ბავშვმა ცხოველის ზურგზე დიდი ეკლები დახატა, თან კარგად გაამკვეთრა, ის უფროსების მხრიდან ძლიერ ზეწოლას გრძნობს. თუ პატარა საბავშვო ბაღსა ან სკოლაში დადის, სადაც მასზე აღმზრდელი ან მასწავლებელი ახდენს ზემოქმედებას, იქნებ სახლში მაინც მიგეცათ მისთვის თავისუფლება?

საერთო შთაბეჭდილება

ცხოველი მთლიანობაში შეაფასეთ, გაითვალისწინეთ ნახატიცა და კითხვებზე გაცემული პასუხებიც. რამდენად ორიგინალურია ეს არსება? თუ ის რომელიმე შინაურ ცხოველს (კატას, თხას...) ჰგავს, ბავშვისთვის სტანდარტული აზროვნება უფრო ახლოა, ვიდრე ორიგინალური.

როგორი ხასიათი აქვს ცხოველს? ეს გიჩვენებთ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ბავშვს საკუთარ „მესთან“. დააკვირდით, რა ხასიათის დეტალები ჭარბობს ნახატში – კეთილი (ღიმილი, გახსნილი გამოხედვა...) თუ აგრესიული (ეკლები, იარაღი...).

ამ ტესტის დახმარებით არა მარტო უკეთ გაიცნობთ თქვენი შვილის ბუნებას, არამედ საალმზრდელო პროცესისადმი თქვენს დამოკიდებულებასაც გადასინჯავთ. ტესტი ახლობლების ბავშვებსაც შეგიძლიათ ჩაუტაროთ. რაც უფრო მეტ ნახატს შეისწავლით, მით უფრო გაგიიოლდებათ მათი ინტერპრეტირება.

*მოამზადა*
***ლალი თვალაბეიშვილმა***



საუბრები ბიბლიაზე

# მამა მრავალთა



რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

აბრამის მეუღლე, სარაი უკვე 75 წლისა ხდებოდა, მაგრამ მიუხედავად ღმერთის აღთქმისა შვილი არა და არ უჩნდებოდა. ჰყავდა სარაის ერთი ეგვიპტელი მხევალი, სახელად აგარი და ვინაიდან ასაკის გამო შვილის შეძენას აღარ მოელოდა, აბრამს ურჩია ...შედი ჩემს მხევალთან, ვინძლო შვილიერი შევიქნე... (დაბ.16:2). ახლოაღმოსავლეთში გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, ასეთი მხევლის შვილები ქალბატონის შვილებად ითვლებოდნენ. აბრამი დათანხმდა და შეირთო აგარი ცოლად. „შევიდა აბრამი აგართან და დაორსულდა აგარი...“ (დაბ.16:4). თუმცა ამის შემდეგ შეიცვალა აგარის დამოკიდებულება ქალბატონის მიმართ. „როცა შეიტყო, რომ ორსულად იყო, დამცირდა მის თვალში მისი ქალბატონი. მაშინ უთხრა სარაიმ აბრამს: შენზეა ჩემი შეურაცხყოფა. მოგიწვიწე ჩემი მხევალი და, როცა შეატყო, რომ ორსულადაა, დავმცირდი მის თვალში. ახლა უფალმა განგვსაჯოს. უთხრა აბრამმა სარაის: აჰა, შენს ხელთაა შენი მხევალი. როგორც გენებოს, ისე მოექეცი. მაშინ დაუწყო სარაიმ ჩაგვრა და გაექცა მას აგარი.“ (დაბ.16:46). ფეხმძიმე აგარი სავარაუდოდ თავისი სამშობლოსაკენ, ეგვიპტისაკენ გაიქცა. გადმოცემის თანახმად, აგარი ფარაონის ნათესავი იყო და აბრამის ოჯახობას მათი ეგვიპტეში ყოფნისას შეუერთდა.

უდაბნოში სიარულით დაქანცულმა და ძალაგამოლეულმა აგარმა ერთ წყაროსთან ჩაიმუხლა. გამოეცხადა მას უფლის ანგელოზი და უთხრა: „აგარ, სარაის მხევალო, საიდან მოსულხარ და სად მიხვალ?“ (დაბ.16:8). ანალოგიურ კითხვას უკვე რამდენიმეჯერ შევხვდით: პირველად, როდესაც უფალი ადამს ეკითხება „სად ხარ?“ (დაბ.3:9), შემდეგ კაენის მიმართ: „სად არის შენი ძმა აბელი?“ (დაბ.4:9). უფალმა (ან მის მიერ წარგზავნილმა ანგელოზმა) ზუსტად იცის ის კონკრეტული გარემოება, რის შესახებაც შეკითხვას სვამს. ეს ერთგვარი მინიშნებაა, რათა ადამიანი წამით მაინც გამოფხიზლდეს, საკუთარ თავში ჩაიხედოს, სული მოითქვას... შანსია, რომელსაც უფალი კონკრეტულ გარემოებაში კიდევ ერთხელ აძლევს ადამიანს, რათა მან გონივრულად გადადგას შემდეგი ნაბიჯი. აგარს კიდევ ერთხელ უნდა გაეაზრებინა, რომ ის გარბის აბრამის ოჯახიდან, ადგილიდან, სადაც ერთი, ჭეშმარიტი ღმერთი შეიმეცნა და მიემართება ეგვიპტეში – ქვეყანაში, სადაც კერპთაყვანისმცემლობაა გაბატონებული. ანგელოზი აგარს თავის დანიშნულებას ახსენებს და განუქარვებს წყენას, რომელიც სარაის გამო გულში ჩაუდია. ხშირად, ადამიანი, რომლის გულიც წყენით არის აღსავსე, ივიწყებს მთავარს, რისთვის გააჩინა იგი უფალმა, რა მიზანი აქვს მის არსებობას, რას ელის მისგან ჭეშმარიტება.

„უთხრა მას უფლის ანგელოზმა: გაბრუნდი შენს ქალბატონთან და დაემორჩილე... დიდად გავამრავლებ შენს შთამომავლობას და ვერ აღირიცხება სიმრავლის გამო... აჰა, ორსულადა ხარ, შობ ვაჟს, და ისმაელს დაარქმევ სახელად, რადგან მოჰხედა უფალმა შენს ჩაგვრას. კანჯარივით იქნება იგი ადამიანთა შორის. მისი ხელი ყველას წინააღმდეგ და ყველას ხელი მის წინააღმდეგ! თავის ძმათა პირისპირ იცხოვრებს იგი“ (დაბ.16:912). მართლაც, აგარს ვაჟი შეეძინა. ისმაელი აბრამისთვისაც სასურველი შვილი იყო. უფალმა ის ახალ ხალხთა წინაპრად აქცია. „ისმაელის გამო გისმინე და, აჰა, ვაკურთხებ მასაც, ნაყოფიერს გავხდი და დიდად, დიდად გავამრავლებ. თორმეტ ბელადს წარმოშობს და დიდ ხალხად ვაქცევ“ (დაბ.17:20). გადმოცემის თანახმად, ისმაელმა სათავე დაუდო არაბთა მოდგმას. ოცი საუკუნის შემდეგ კი, ისმაელის მოდგმამ მონოთეისტური რელიგია ისლამი მიიღო, გამრავლდა და აურაცხელი გახდა იგი. ფიზიკურად არაბთა, ხოლო სულიერად მუსულმანთა წინაპარი დღესაც განაგრძობს გამრავლებას. ხოლო იმ ჭას, სადაც აგარს უფალი გამოეცხადა ბერ-ლახაი-როი შეარქვეს. „...კადეშსა და ბარედს შორის მდებარეობს იგი“ (დაბ.16:14).

აბრამი განაგრძობდა გულმოდგინე ღვთისმსახურებას. კეთილმორწმუნედ და ღმრთისმოშიშად ცხოვრობდა იგი. ღვთის, ჯერ კიდევ გამოუცნობ მოწოდებას თავის სულში ისმენდა და მიჰყვებოდა. კვლავ გამოეცხადა მას ღმერთი და ამჯერად უკვე საბოლოოდ განამტკიცა თავისი აღთქმა: „ოთხმოცდაცხრამეტი წლის იყო აბრამი, როცა გამოეცხადა უფალი აბრამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ“ (დაბ.17:12). აბრამის რჯული მისი მონაგარის რჯული უნდა გამხდარიყო. „ეს მე ვარ და, აჰა, ჩემი აღთქმაც უამრავ ხალხთა მამა შეიქნები!“ (დაბ.17.4). ღვთის სიტყვებზე, რომელიც მას ჩაესმა, დაფუძნებულია ერის ისტორია. ამ ერის მამამთავრის, აბრამის მნიშვნელობა კი იუდაურ-ქრისტიანულ მოძღვრებაში არა მხოლოდ სიმბოლურ, არამედ რეალისტურ საფუძველზეა დამყარებული. აბრამიდან უნდა გამოსულიყო დიდძალი ხალხი – ასეთი იყო აღთქმა ღვთისა და როგორც მრავალი ხალხის მამას მას სახელი უნდა გამოეცვალა. „აღარ გერქვას ამიერიდან სახელად აბრამი, არამედ აბრაამი იყოს შენი სახელი, რადგან უამრავ ხალხთა მამად გაქცევ“ (დაბ.17:5). ახალ სახელში მისმა მისიამ ჰპოვა ასახვა. მამამ დაარქვა აბრამი „მამა მაღალთა“, ღმერთმა კი აბრაამ „მამა მრავალთა“. „მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები. უთხრა ღმერთმა აბრაამს: ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ თაობიდან თაობამდე“ (დაბ.17: 89). მთელი თავისი ცხოვრებით აბრაამი მწირი და მოხეტიალე იყო. იმ ქვეყანას, სადაც ის ცხოვრობს „მდგმურობის ქვეყანა“ ეწოდება, თუმცა აბრაამის მდგმურობას ქანაანის ქვეყანაში აშკარად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს ქვეყანა, როგორც წუთისოფელი, მისი დროებითი სამყოფელია. ქანაანი წუთისოფლის ხატია, აბრაამი კი – მისი მდგმური. ის სტუმარია, როგორც ყოველი ადამიანი. მაგრამ უფალი ჰპირდება, რომ ამ წუთისოფელს სამარადისო სამკვიდრებლად გაუხდის მას. აღთქმას აბრაამის მხრიდან გარკვეული პირობის შესრულებაც სდევს თან: „ეს არის აღთქმა, რომელიც უნდა დაიცვათ, აღთქმა, ჩემსა და თქვენს შორის და შენს შთამომავლობას შორის თაობიდან თაობამდე; წინადაიცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა“ (დაბ.17:10). იქვე აგრძელებს: „რვა დღისამ წინადაიცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა თაობიდან თაობამდე, სახლში დაბადებულმა და უცხოელისგან ვერცხლით ნაყიდმა, რომელიც შენი თესლ-ტომის არ არის...“ (დაბ.17:1213). წინადაცვეთის წესი დღემდე არსებობს ებრაელ ხალხში და მუსლიმანურ ქვეყნებში.

შემდეგ უფალი განაგრძობს: „სარაის, შენს ცოლს, აღარ ერქვას სახელად სარაი, არამედ სარა იყოს მისი სახელი... ვაკურთხებ მას და ვაჟიშვილსაც შეგძენ მისგან; ვაკურთხებ და გახდება ხალხების დედა და ხალხთა მეფეები წარმოიშვებიან მისგან“ (დაბ.17:1516) (სარა ძველებრაულად ნიშნავს „ქალბატონს“, „მპყრობელს“, „დიდგვაროვანს“). ამ სიტყვების გაგონებისთანავე „პირქვე დაემხო აბრაამი და გაეცინა. გულში თქვა: ნუთუ შვილი შეეძინება ასი წლის კაცს? ნუთუ ბავშვს დაბადებს ოთხმოცდაათი წლის სარა?“ „სწორედ სარა, შენი ცოლი, გიშობს ვაჟს და დაარქმევ სახელად ისაკს. აღვუდგენ მას ჩემს აღთქმას სამარადისო აღთქმად მისი შთამომავლობისთვის“ (დაბ. 17:17,19). დაასრულა უფალმა აბრაამთან საუბარი და განეშორა მას, ხოლო აბრაამმა იმავე დღეს წინადაიცვითა თვითონაც და წინადაცვითა თავისი ცამეტი წლის ვაჟი ისმაელი, სახლეულის ყოველი მამაკაცი: მკვიდრიცა და ვერცხლით ნაყიდიც. ბიბლიის ამ ლექსიდან იწყება ადამიანის სულიერების ახალი ეტაპი. სწორედ ამ ამბის შემდეგ აბრაამი უფრო ხშირად ესაუბრება უფალს და თუ თავდაპირველად, უფლის დანახვაზე აბრაამი პირქვე ემხობოდა და შეხვედრის ადგილას საკურთხეველს აგებდა, აღთქმის შემდეგ ის თავის სულში განჭვრეტილი ურთიერთობს უფალთან და ამ პროცესში შეუცვლელი რჩება მთავარი: უფლის სიყვარული და რწმენა, ერთგულება და მსახურება.

ერთხელაც, როდესაც აბრაამი მამრეს მუხნარში თავისი კარვის კართან იჯდა და პაპანაქებაში უფალზე ფიქრობდა, „თვალი აახილა და ხედავს, სამი კაცი დგას მის შორიახლო; დაინახა და გაიქცა კარვის კარიდან მათ მისაგებებლად და დაბლად თაყვანისცა“ (დაბ.18:2). სტუმართმოყვარე აბრაამს ჩვევად ჰქონდა: გამვლელ-ამომვლელს პატივს მიაგებდა, კარავში შემოიპატიჟებდა, ფეხებს დაბანდა, პურს აჭმევდა, მოასვენებდა და თან უფალზე, ჭეშმარიტ ღმერთზე ესაუბრებოდა. ახლაც ასე მოიქცა. სტუმრები შინ შემოი-



პატიჟა, წყალი მოუტანა და ფეხები დაბანა. ამასობაში სარას ხმიადის გამოცხობა დაავალა, მერე საქონლისაკენ გაიქცა, გამოიყვანა ჩვილი და სალი ხბო, მსახურ ბიჭს სასწრაფოდ დააკვლევინა და ისიც გაამზადა. „გამოიტანა ერბო და რძე, გამზადებული ხბოს ხორცი და წინ დაუწყო; ისინი ჭამდნენ, თავად კი ხის ძირას იდგა შორიახლო“ (დაბ.18:8). მათ სუფრას ემსახურებოდა. აბრაამი თავს არა მხოლოდ ღვთის მსახურად მიიჩნევს, არამედ ვალდებულად თვლის ემსახუროს თითოეულ ადამიანს, რადგან ადამიანი „ღვთის ხატად და მსგავსად“ შეიქმნა და ღვთის სიდიადე სწორედ ადამიანში გამოსჭვივის. ამიტომაც, აბრაამის თითოეული სიტყვა, საქციელი, მიმართვა ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით არის აღვსილი.

სტუმრებმა სარა მოიკითხეს: „უთხრეს: სად არის სარა, შენი ცოლი?...“ (დაბ.18:9). კვლავ ვხვდებით შეკითხვას, რომელსაც უფალი მნიშვნელოვანი ამბის შეტყობინების ადრესატს უსვამს. მართლაც ამბავი, რომელსაც სტუმარი აბრაამს ამცნობს მათ მემკვიდრეს ეხება: „თქვა ერთმა: კიდევ მოვალ შენთან გაის ამ დროს, და, ნახავ, ვაჟი ეყოლება სარას, შენს ცოლს“ (დაბ.18:10). კარვის კარს უკან მდგარ სარას ყველაფერი ესმოდა, აბრაამიცა და სარაც მოხუცებულნი იყვნენ, ამიტომაც გაეცინა გულში სარას: ერთი მხრივ, გონებით ეჭვი შეიტანა სტუმრის სიტყვებში, მეორე მხრივ კი ნათქვამი სულის სიღრმეში ჩაწვდა და დედობის მოლოდინში ნეტარი ღიმილით გაუბრწყინა სახე. ამასობაში აბრაამი უკვე მიხვდა, რომ სტუმრები ჩვეულებრივი ადამიანები კი არა, უფლის მაცნენი იყვნენ. „უთხრა უფალმა აბრაამს: რა იყო, რომ გაეცინა სარას და თქვა: ნუთუ მართლა ვშობ სიბერეშიო? რა არის უფლისთვის შეუძლებელი? დათქმულ ჟამს, გაის ამ დროს ისევ მოვალ შენთან და, ნახავ, ვაჟი ეყოლება სარას“ (დაბ.18:1314).

აბრაამი და სარა მრავალი წელი ოცნებობდნენ მემკვიდრეზე. ეს გასაგებიცაა: უნდა გაჩენილიყო ის, ვინც განამრავლებდა აბრაამის მოდგმას, ვინც გააგრძელებდა ჭეშმარიტი უფლის სიყვარულსა და მსახურებას, ის, ვისთვისაც ცხოვრობდა და ვისაც ქვეყანას დაუტოვებდა აბრაამი. ვისთვისაც აკურთხა ღმერთმა: „კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ.12:3), შთამომავლობა კი ჯერ არ ჰყავდათ. მხოლოდ მხევლის ვაჟი ისმაელი. მაგრამ აბრაამი ხომ თავისი მეუღლისაგან სარასაგან მოელოდა შთამომავალს.



ერთხელაც, როდესაც აბრაამი მამრეს მუხნარში თავისი კარვის კართან იჯდა
და პაპანაქებაში უფალზე ფიქრობდა, „თვალი აახილა და ხედავს, სამი კაცი დგას მის შორიახლო;

# სპორტული ტრადიციების კვალდაკვალ

პატარძეული – გარე კახეთის კარიბჭე, დიდი გოგლას მუზეუმის სავანე, ძირძველი ქართული ოჯახების ძლიერი კერა, არაერთი სახელოვანი მამულიშვილის აღმზრდელი, დიდი სპორტული ტრადიციების სოფელიცაა. ათეულობით წლების განმავლობაში აქ ქართულ ჭიდაობას ეთაყვანებოდნენ, შვილებს დიდი გამარჯვებისთვის აფრთიანებდნენ და ამზადებდნენ. სწორედ აქ აღიზარდნენ: ევროპის ორგზის, საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ძიუდოში **გივი ონაშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში **ვალერი პარუნაშვილი**, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები სამბოში – ძმები **თენგიზ** და **მურთაზ ელერდაშვილები**. დღემდე ევროპის სპორტულ ცხოვრებას ქარიშხალივით უვლის პატარძეულის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის, საერთაშორისო კლასის არბიტრის, **შოთა ზუკაკიშვილის** სახელი, იგი „ოქროს სასტვენის" ორგზის მფლობელია.



ბოლო წლებში პატარძეულელი მოზარდების ცხოვრებაში სპორტის მანამდე უცხო და არატრადიციული სახეობა – რაგბი შემოიჭრა. დღეს უკვე თამამად შეიძლება ვთქვათ, ახალგაზრდა თაობის მიზანსწრაფულობისა და სტიმულაციის მთავარი ძალა სწორედაც რომ რაგბია. სარაგბო ცხოვრებას საფუძველი აქ ათიოდე წლის წინ ჩაეყარა. პირველი გუნდის ჩამოყალიბება საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრის, დედით პატარძეულელის, **მალხაზ ურჯუკაშვილის** სახელს უკავშირდება. მან განსაკუთრებული მონდომებით, რიგი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, თავის დედულეთს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა – რესპუბლიკურ ტურნირებზე წარმატებით გამოდის პატარძეულის გუნდი „ვეფხვები".

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეების – **მურაზ** და **გიორგი გიორგაძეების**, **ნოდარ კოტორაშვილის**, **ნიკოლოზ სუხაშვილის**, **ბექა შათირიშვილის**, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულის **ვანო გაბროშვილის** გამოსვლები საერთაშორისო ასპარეზზე. ამჟამად ნაკრებს ავარჯიშებენ **ზურა ამონაშვილი** და **ზვიად ცუხიშვილი**, რომლებიც თავიანთ აღსაზრდელთა არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სულიერ და ზნეობრივ სრულყოფაზეც ზრუნავენ.

რაგბის განვითარებასა და პოპულარიზაციას, მრავალფეროვანი საჭიდაო ტრადიციების მქონე ამ პატარა სოფელში საოცარი ძალისხმევა შესძინეს ძმებმა **დავით** და **გია გიუნაშვილებმა**. ისინი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები იყვნენ და დიდი წარმატებებიც ჰქონდათ. სამწუხაროდ, ამ ორიოდე წლის წინ, ისინი ტრაგიკულად დაიღუპნენ. მათი ძმა ამჟამად საზღვარგარეთის გუნდურ ასპარეზობებში მონაწილეობს. ძმები გიუნაშვილების ხსოვნის პატივსაცემად პატარძეულის საჯარო სკოლის დირექციამ შიდასასკოლო ტურნირი ჩაატარა. დაწესდა მათივე სახელობის პრიზი, რომლის დასაუფლებლად სკოლის მოსწავლეთა გუნდებმა ძალა და ენერგია არ დაიშურეს. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ X-XII კლასების მოსწავლეები. გამარჯვება მოიპოვა XIა კლასის გუნდმა (კაპიტანი – **დათო მურადოვი**), II ადგილი დაიკავა Xბ კლასის გუნდმა (კაპიტანი – **გია კოტორაშვილი**), დანარჩენი მონაწილეები სიგელებით დაჯილდოვდნენ. იმავე დღეებში, სოფლის ცენტრალურ სპორტულ მინდორზე გაშენდა დავით და გია გიუნაშვილების სახელობის ხეივანი.

უახლოეს მომავალში, პატარძეულის თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სპორტულ სტადიონზე, „ვეფხვებსა" და თბილისის მორაგბეთა გუნდ „არმაზს" შორის ე.წ. ტესტ-მატჩი გაიმართება. ეს ამხანაგური შეხვედრა სერიოზული სამზადისი იქნება აპრილში დაგეგმილ „ა" ლიგის ჭაბუკ მორაგბეთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონატისათვის.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ჩვენი სოფლის სპორტული მიღწევების სულისჩამდგმელი ვეტერანი მოჭიდავე, სპორტის ოსტატი სამბოში, ღირსების ორდენის კავალერი **ომარ მიქელაშვილია**. იგი დიდი პროფესიონალიზმით უძღვება მოზარდთა სპორტული აღზრდის საქმეს.

***ნინო ბურდიაშვილი***

*პატარძეულის საჯარო სკოლის განათლების ხარისხის მენეჯერი*

* * *



თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს ხელბურთში შეეჯიბრნენ. ფინალურ შეჯიბრში ერთმანეთს მერვე კლასის მოსწავლეები შეხვდნენ.

ხელბურთში შეჯიბრი სპორტის გაკვეთილების ფარგლებში ტარდება. სკოლაში, ასევე, ფუნქციონირებს ფეხბურთისა და კალათბურთის ლიგები, სადაც ბავშვები აქტიურად ეუფლებიან სპორტის ამ სახეობებს.

ხელბურთში ფინალურ შეჯიბრს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** დაესწრო. მან ფინალის მონაწილე, წარმატებული სპორტსმენი **სოსო კიკნაძე** პორტატული კომპიუტერით დააჯილდოვა. სოსო კიკნაძე ორი ვერცხლის მედლის მფლობელი და სულაქველიძის სახელობის სპორტული აკადემიის საუკეთესო ფეხბურთელია.

მოზარდებში სპორტით დაინტერესება იზრდება. პრეზიდენტის ინიციატივით, ახალი სასწავლო წლიდან, საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ფიზიკური განათლებისა და სპორტის გაკვეთილები ჩაენაცვლა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება, რომელიც გამოიხატება ფიზიკური განათლებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობების ინტეგრაციაში და საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში ხორციელდება. შეიქმნა შესაბამისი სასწავლო პროგრამა, გადამზადდნენ პედაგოგები და მოეწყო ინფრასტრუქტურა.

ეწყობა სასკოლო ჩემპიონატები სპორტის სამ სახეობაში: ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი სახეობებს სკოლები სურვილისამებრ ირჩევენ. ტურნირები რამდენიმე ეტაპად ტარდება, მასში ვაჟებთან ერთად გოგონათა გუნდებიც ასპარეზობენ.

* * *

საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით გამოსვლას აგრძელებს 16 წლის ქუთაისელი **მიხეილ მარდალეიშვილი**. შემოდგომაზე მან ბრინჯაოს მედლები მოიპოვა სოფიასა და ტრაბზონში ჩატარებულ ევროპის თასის ეტაპებზე, მერე უნგრეთში XI იყო, ახლახან კი მოსკოვში V ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ეს შეჯიბრება ევროპულმა ფედერაციამ 2008 წელს შემოიღო, საერთაშორისოს კი ჯერაც არ აქვს. ცალკეული ეტაპების მიხედვით ჯამდება რეიტინგი. პირველი ორი ეტაპის შემდეგ ჩვენებური რეიტინგში მეშვიდე იყო, მაგრამ მომდევნო შეჯიბრებებში, შედარებით დაბალი შედეგების გამო, მერვეზე გადაინაცვლა. თუმცა საქართველოსთვის არც ესაა ცუდი შედეგი. უბრალოდ, გულდასაწყვეტია, რომ გამოუცდელობის გამო დაწინაურების შანსი დაკარგა. თუმც, არა მხოლოდ დაწინაურების, კარიერის პირველი ტურნირის მოგებაც შეეძლო.

ამის შანსი ქუთაისელ მოზარდს მოსკოვში მიეცა, პირველ ეტაპზე ხუთივე შეხვედრა მოიგო, მეორეში – 6-დან 5. ხმალაობა ძირითად ბადეშიც ყოჩაღად დაიწყო და ჯერ ზედიზედ სამი რუსი დაამარცხა, მერე – ერთი ბელორუსიც და მეოთხედფინალში გავიდა. იქ ამერიკელ **ელი დერვისტს** ხვდებოდა და კვლავაც დიდი შემართებით შეუტია, უგებდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ 13:15 დამარცხდა. ტურნირის ჩემპიონი სწორედ ეს ამერიკელი გახდა და მასთან წარმატების შემთხვევაში, ვინ იცის, თავად მოეპოვებინა ის ოქრო. ნაკრების მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე** ამ დასანან წაგებას გამოუცდელობით ხსნის და ამბობს, რომ მარდალეიშვილმა ვერ ირწმუნა საკუთარი ძალის, თორემ შეჯიბრების მოგება შეეძლოო. წინა კვირაში ქუთაისელმა მოხმალავემ გერმანულ გიოპინგენშიც იასპარეზა ისევ ევროპის თასზე, მაგრამ წარუმატებლად გამოვიდა. შესაძლოა, მომავალ კვირას ირანშიც ვიხილოთ საერთაშორისო ტურნირზე, ეს შეჯიბრებები კი გაისად გასამართი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის მზადებას ემსახურება. ევროპის პირველობა თებერვალში ავსტრიაში გაიმართება, მსოფლიოსი – მარტში იორდანიაში.



* * *



საინტერესო ფაქტი მოხდა საქართველოს 16-წლამდელ კალათბურთელთა საქართველოს ჩემპიონატში, „დინამო"-„ორბის" შეხვედრაში „ორბის" წევრმა **თემურ ზაქარაძემ** არც მეტი, არც ნაკლები... 32 მოხსნა მიითვალა! ეს ამ ასაკობრივი პირველობის რეკორდია, თუმცა მსგავსი მიღწევით ვერც უფროსთა მატჩები დაიკვეხნის.

ზაქარაძე ამ შეხვედრაში კიდევ ერთი გამორჩეული სტატისტიკური მაჩვენებლით გამოირჩა – 36 საჯარიმო ისროლა. თუმცა, სამწუხაროდ, აქ დიდად საამაყო არაფერი აქვს, რადგან მხოლოდ 16 ჩააგდო კალათში, რასაც თამაშიდან მოპოვებული 2 ქულაც დაუმატა და ჯამში 34 ქულა დააგროვა.

თვითონ ეს შეხვედრაც ძალზე დაძაბული გამოდგა – ძირითად დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა და დამატებითში გაგრძელდა, სადაც ცოტა უფრო იღბლიანები „ორბის" კალათბურთელები აღმოჩნდნენ და შეხვედრაც მათ მოიგეს 73:68.

ამ ჩემპიონატის პარალელურად, 16-წლამდელთა ნაკრები 18-წლიანთა პირველობაში გამოდის. ამ გუნდში თაობათა ცვლის პროცესია და მწვრთნელები ახალ კადრებს ეძებენ. მათი აზრით, უფროსებთან პაექრობა უმცროსებს უფრო წაადგებათ, ვიდრე – თანატოლებთან და 18-წლიანებში ამიტომაც გამოდიან. ბოლო შეხვედრა მათ „რუსთავთან" გამართეს და ფიცხელი ბრძოლაც გამართეს. ქვემოქართლელებმა მათი წინააღმდეგობა მხოლოდ მეორე ნახევარში გატეხეს და 78:63 გაიმარჯვეს.

*რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე*

სპორტი

# შენგელიას თასი


რამაზ შენგელია შვილიშვილთან დავით გოცირიძესთან ერთად


„ორმოცდამეჩვიდმეტელთა“ შეტევა

ორშაბათს დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლის ღია მოედანზე დიდი ჟრიამული სუფევდა – **რამაზ შენგელიას** სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩი მიმდინარეობდა. აღნიშნული შეჯიბრება უკვე ტრადიციული გახდა და ყოველწლიურად იმართება ვაკის რაიონის მასშტაბით. მასში მონაწილეობენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლები.

წლევანდელ ტურნირში, რომელიც უმცროსკლასელებს შორის ტარდებოდა, რაიონის 12 სკოლა ჩაება. შესარჩევი ეტაპების შემდეგ ფინალში თამაშის უფლება 57-ე და კერძო სკოლა „მოძღვარის“ გუნდებმა მოიპოვეს. საინტერესოა, რომ ორივე სკოლა 57-ეს შენობაშია განთავსებული და ფინალში სტუმარ-მასპინძელი ცოტა ძნელი გასარკვევი იყო. სამაგიეროდ, იოლად გამოიკვეთა კერძო სკოლის გუნდის უკეთესი მომზადება. ალბათ, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ისინი ამ ტურნირისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ **ვახტანგ ბაქანიძის** ხელმძღვანელობით (რომელიც შეჯიბრების მთავარი მსაჯიც იყო), რითაც 57-ე სკოლელები ვერ დაიკვეხნიდნენ. ცხადია, ჟინი და შემართება არც მათ აკლდათ, მაგრამ წარმატებისთვის მხოლოდ ეს არ კმარა. შეხვედრა „მოძღვარის“ გუნდმა მოიგო დიდი ანგარიშით – 9:0 და საპატიო თასს დაეუფლა. ამ ასაკში ოსტატობაზე და გააზრებულ კომბინაციებზე ლაპარაკი ცოტა ძნელია, მაგრამ გამარჯვებულთა კოზირად გრძელი პასები და შორეული დარტყმები იქცა. მართალია, ხშირად ეს პასები უფრო ბურთის ინსტიქტურად მოგერიებას ჰგავდა, მაგრამ საგოლე მომენტების უმეტესობა სწორედ ასეთი შემთხვევების შემდეგ შეიქმნა. გოლის გატანის რამდენიმე შანსი დამარცხებულებსაც მიეცათ, მაგრამ არა ისეთი რეალური, როგორიც მათ მეტოქეს და შესაძლებლობა ვერც ისეთი წარმატებით გამოიყენეს.

ალბათ, ბავშვების მონდომებას დიდ სტიმულს ისიც აძლევდა, რომ შეხვედრას სახელოვანი ფეხბურთელი რამაზ შენგელია პირადად ესწრებოდა. თუმცა, ცნობილი საფეხბურთო გვარებისა თუ ოჯახების წარმომადგენლები არც მოედანს აკლდა. ინდივიდუალური პრიზებიც მათ მიიღეს. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი რამაზ შენგელიას შვილიშვილი **დავით გოცირიძე** გახდა, საუკეთესო მეკარედ კი ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელის – **გოგა გახოკიძის** ვაჟი **ნიკოლოზ გახოკიძე** დაასახელეს. არ ვიცი, როგორ ითამაშა მან წინა შეხვედრებში, მაგრამ ფინალში საკმაოდ კარგად გაისარჯა და მეტოქეთა იშვიათი დარტყმებიდან რამდენიმე მართლაც სახიფათო წარმატებით მოიგერია. შეჯიბრების ბომბარდირი 19 გოლით (!) კიდევ ერთი საფეხბურთო ოჯახის უმცროსი წარმომადგენელი გახდა – ლეგენდარული თბილისის „დინამოს“ წევრ **ნოდარ ხიზანიშვილის** შვილიშვილი და საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ **ზურაბ ხიზანიშვილის** ძმის შვილი **ზუკა ხიზანიშვილი**.

გამარჯვებულ გუნდსა თუ ცალკეულ ნომინანტებს პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები – წიგნები რამაზ შენგელიამ გადასცა.


გათამაშების პრიზიორები


გამარჯვებული გუნდი „მოძღვარი“

### ახალი თამაში სკოლებში

19 დეკემბერს სტარტს აიღებს ახალი ინტელექტუალური თამაში მოსწავლეთა შორის „BG Wise“. ესაა ინტელექტუალური სტილის გასართობი თამაში, დაახლოებით „რა, სად, როდის“ ტიპისა და მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც დედაქალაქის, ასევე რაიონების საჯარო სკოლების VIII-XI კლასის მოსწავლეები. შეჯიბრება 11 დღეს გაგრძელდება და 30 დეკემბერს თბილისში დასკვნითი ტური ჩატარდება. სამი საუკეთესო გუნდი ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდება.

ახალ შეჯიბრებას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბიზნეს-ჯგუფი“ ატარებს, პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთანაა შეთანხმებული.

სამშაბათს „თბილისი მარიოტში“ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც აღნიშნულ სამინისტროთა თუ ორგანიზატორთა გარდა საჯარო სკოლების მასწავლებლები და დირექტორებიც ესწრებოდნენ. როგორც იქ ითქვა, თამაშის მიზანია მოსწავლეებში ანალიზისა და ლოგიკური აზროვნების უნარის გამომუშავება, განათლების დონის ამაღლება. ვფიქრობთ, იმ ეპოქაში, როცა წიგნის ალტერნატივად ინტერნეტი იქცა და ახალგაზრდობის ნაწილს კითხვა ეზარება, მსგავსი ღონისძიება მათი წიგნთან დაბრუნების კიდევ ერთი შანსია. ვიმედოვნებთ, ახალი თამაში ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის ინტელექტუალად ჩამოყალიბებას.

### სენსაციამდე ცოტა დააკლდა

საქართველოს მეორე ჩოგანს ქალთა შორის, ახალგაზრდა ოქსანა კალაშნიკოვას ძალზე ცოტა დააკლდა კარიერის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ გამარჯვებამდე. ჩვენებური დუბაის 75-ათასიან ტურნირში გამოდის და ერთეულთა შეჯიბრებაში ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ ლატვიელ **ანასტასია სევასტოვას** ხვდებოდა, რომელიც საერთაშორისო რეიტინგში 45-ეა. ლატვიელმა პირველი სეტი 7:5 მოიგო, მაგრამ ოქსანამ მეორეში იმარჯვა – 6:2 და ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი, მესამე სეტი ფრიად უშეღავათო და ძალზე დაძაბული გამოდგა. ახალგაზრდა კალაშნიკოვამ გამოცდილ მეტოქეს დიდი ბრძოლა გაუმართა და ცოტა დააკლდა სენსაციის მოხდენამდე. შეხვედრის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა და ლატვიელმა მინიმალური ანგარიშით იმარჯვა – 7:6. სულ რაღაც ერთი ქულა და კალაშნიკოვა შემდეგ წრეში გავიდოდა, თუმცა ის დუბაიში მაინც რჩება და წყვილთა შეჯიბრებაში გამოდის. აქ ჩვენებური რუს **მარტა სიროტკინასთან** შეამხანაგებული თამაშობს. ამ დუეტმა გზიდან უკვე ჩამოიშორა **ევგენია როდინასა** და **იპეკ სინეგოლუს** რუსულ-თურქული წყვილი, მომდევნო შეხვედრას კი **ლესია ცურენკოსა** და **ქსენია პერვაკის** უკრაინულ-რუსულ დუეტთან გამართავს.

*რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე*

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K